

სტაფანე კონ. ზუბალაშვილის ხსენების და სახელის სახსრების.

საქანთვალოს

პაჭრობა და მრეწველობა ქვეყანა

და

გრიგოლ ხურსიძე და სცენარი ივანეს მე ბუბალაშვილი

ინდოეთში

ალწერილი და დამეჭდილი

ჭ. ჭიჭინაძის მიერ.



თბილისი

ელექტრონმაჟილავი თავ. გრ. დიასამიძისა, სასახლის ქ.

1905.



სტეფანე კონ.-ქე ზუბალაშვილის ხელნაში და სახელის სახსოვრად.

სამათვალოს

ვაჭრობა და მრავალობა ქვეყანა

და

37627 გრიგოლ ხურსიძე და სტეფანე ივანეს ძე ზუბალაშვილი

ინგლიზი

აღწერილი და დაბუჭილი.

გ. ჭიჭინაძის მიერ.



თბილისი

ელექტრომხელდავი თავ. გრ. დიასმიძის, სასახლის ქ.

1905.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22-го декабря 1904 г.

ამ ხუთს ახლად დაბეჭდილ წიგნებს ვუძღვნით ჩვენის ქვე-
უნის გულშემატკივარ მამულიშვილის სტეფანე კონსტანტინეს
ძე ზუბალაშვილის ხსენებას (დ. 1860, გარდ. 1904).

ეს წერილი წინეთ გვქონდა დაწერილი. ამის დაბეჭდვა
დადათ სურდა. აწ განსვენებულს სტეფანე კონსტანტინეს ძე
ზუბალაშვილს. ეხლა დავბეჭდეთ და მატუშ ეს წიგნი მის ხსე-
ნებასაც ვუძღვენით, სახსოვრად. სტეფანე კონსტანტინეს ძე
ზუბალაშვილს არამც თუ მარტოდ ასეთი წერილების ბეჭდვა
ენატრებოდა, არამედ იგი დიდის ინტერესით აღვენებდა თვალ-
ყურს ქართველ მაჭადიანთ ცხოვრებას. და მათ შესახებ წე-
რილების წერას და ბეჭდვასაც. უკელა ამაზედ 1904 წ. აპ-
რალის და მაისის თვის რიცხვებშიაც გვესაუბრა და გვაუწყა
თვისი საშზადისი მონაწილეობის მხრით, მაგრამ სოფელმა ალარ
აცალა. ასეა ჩვენი საქმე, უკელაში ასე უბედურები ვართ,
ჩვენი ტომის გულ-შემატკივართ რიცხვი ჩვენს ქვეყანაში სან-
თლით საძებარია და ვინც გამოვა და კეთილ საქმეს და გზას
დაადგენა — იმასაც რაღაც უბედურება მოვლინება.

აი ეს წიგნებიც:

1, გრიგოლ ხურსიძე და სტეფანე ზუბალაშვილი ინდო-
ეთში.

2, ქართველ კათოლიკეთ საერო მოღვაწენი.

3, ქართველ კათოლიკეთ სასულიერო მოღვაწენი.

4, ვაჭრობა და მრეწველობა ქართველ კათოლიკებში.

და 5, მოგონება „სამაგალითოს კაცის“.

საქართველოს ვაჭრობა და მრეწველობა ძველად და
გრიგოლ ლუკას მე სურსიმე და სტეფანე ივანეს მე
ზუბალაშვილი ინდოეთში.

I

ზოგნი ამტკიცებდნენ და დღესაც ამბობენ, რომ ქარ-
თველებს მრეწველობისა და ვაჭრობის შნო სრულებით არა
აქვთო. ეს მართალი არ არის. ქართველნი ვაჭრობას და მრე-
წველობას შეჩვეულები ჩყვნენ ძველადგანვე. საქართველოს
გარეშეც-კი ვაჭრობდნენ, ვაჭრობდნენ და აღებ-მიცემობდნენ
სპარსეთს, ავლანისტანს, ინდოეთს, ოსმალეთს, აზიის სხვა
ზალხსა და ქვეყნებშიაცა და მასთან ევროპაშიაც.

მოგეხსენებათ, რომ ინდოეთი ევროპამ XVI საუკუნეში
გაიცნო მხოლოდ და ისიც ოდნავ. ქართველნი კი ინდოეთს
და მის მფლობელს ინგლისს ძველადგანვე იცობდნენ. ქარ-
თველებმა ვაჭრობისათვის ინდოეთში თვით საშუალ საუკუ-
ნოებიდანვე იწყეს მგზავრობა, ვაჭრობა და მეცადინეობა ამ
ასპარეზზედ.

XVIII საუკუნის დამდეგიდამ ქართველთ აშკარად იგრ-
ძნეს ვაჭრობის საჭიროება. ამ საუკუნის ნახევარს, რუსეთის
მთავრობამ ეკატირენოდარში იარმუკობა დააწესა: წელიწად-
ში ერთხელ იმართებოდა იარმუკობა და იქ საქართველოს
ვაჭრებიც მიღიოდნენ, საქონელი მიჰქონდათ და იქ ვაჭრო-
ბდნენ; იქიდამ საქართველოში სხვა საჭირო საქონელი შემოჰ-
ქონდათ. იმ ხანად ქართველთ შორის ბევრი რამ საჭიროება
დაიჭადა და აღორძინდა. ერთი ამ მრავალთაგანი გახლავსთ
შაქრის საჭიროება, საქართველოში შაქრის ქარხნის დაარსება,
აგრეთვე ქალალდისა და ნართისა.

ბევრის თათბირის შემდეგ, ორი საპატიო პირი აირჩიეს, რომელთაც შესმენა აქვნდათ და მათთან რამდენიმეც სხვა ქართველნი და გაგზავნეს მაღრასესა და კალკუტაში მცხოვრებ მდიდარ ინდოელ ვაჭრებსა და მექარხნებთან მოსალაპარაკებლად ტფილისში ზოგი ერთ საჭირო ქარხნის დაარსების გამო, ნამეტურ ყავის მრავლად შემოტანისთვის. ჩვენ ში ყავას დიდი მოთხოვნილება აქვნდა, ჩაიკი მცირედ იყო გაგრცელებული, ჩაიც ინდოეთზე მოდიოდა.

პირველი მგზავრობა ქართველთ ვექილ-დესპანებისა 1770 წ. მოხდა. ამ დროდაში იწყება საქართველოს მიწერ-მოწერა ინგლისის მთავრობასთან და გრძელდება 28 წლის განმავლობაში. მიწერ-მოწერას დასასრულ-საზღვარი დაუდო მეფე ერეკლე მეორის სიკვდილმა. საქმე სხვათვერ მოეწყო. 1798 წლიდამ, უკანასკნელად იქ გაგზავნილ იქმნა რაფიელ დანიბეგოვი, რომელიც ინდოეთიდამ საქართველოში 1799 წ. დაბრუნდა. 1801 წ. შემდეგ, საქართველოს რუსთთან შეერთების დღიდან, რაფ. დანიბეგოვი რუსეთში გადასახლდა და თავის მოგზაურობა საქართველოდამ ინდოეთამდის რუსულად სთარგმნა და 1810 წ. მოსკოვში ცალკე წიგნათაც დასტამბა.

საქართველოდამ წასულ სამეფო ელჩებს ხელს უწყობდნენ დიდათ საქართველოს ვაჭრები და ნამეტურ ქართველთ კათოლიკენი, რომელნიც აღებ-მრკემის საქმეს აღგნენ და ინდოეთში მსვლელობა ძველადგანვე ჰქონდათ, კალკუტასა და მარასეში; მათთვის ცალკე ქართველთ ვაჭართ ქარვასლებიც კი არსებობდა. ასეთ ვაჭრების საშუალებით, ინდოეთში მაღად გამოსჩნდა მაღრასეს და კალკუტის მცხოვრები მდიდარი მილიონერი ვაჭარი, სომები, იაკობ შახრიმიანი, რომლის მამაპაპანიც ძველადგანვე ყოფილან იქ მისულნი და გამდიდრებულნი ვაჭრობით.

ბევრის მიწერ-მოწერის და თათბირის შემდეგ ინდოეთში დამყარებულმა ინგლისის მთავრობამ შეიწყნარა საქართველოს მეფის თხოვნა და იაკობ შახრიმიანს ნება მიეცა საქართველოში გადმოსახლებისა, თან 10,000 ინდოელის გაღმოყვანისაცა, საქართველოში შაქრის ლერწმის მოყვანისა,

შაქრის ქარხნის დაარსებისა, საქსოვ-სანართე ქარხნების გახსნისა და ბევრიც სხვა ამ გვარ საჭირო საქმეთა შემოღებისა.

ინგლისის მთავრობასთან მოლაპარაკებას მარტო სავაჭრო და საქარხნო საქმე არა ჰქონდა, არამედ საქართველოს სამეფოს პოლიტიკურს მდგომარეობასაც შეეხებოდა. საქართველოს უნდოდა ინგლისის მფარველობის ქვეშ ყოფნა, პლამოდა თითქმის კავშირის შეკვრასაცა, ინგლისის მთავრობაც თანხმა იყო და ამიტომ ბეჯითი, მიწერ-მოწერაც გაიმართა. სამწუხაროდ, ამ მიწერ-მოწერის მასალა ჩვენის ისტორიისათვის მთლიან დაკარგულია; 1795 წლის შემთხვევამ მოსპონ ესე ყოველივე. ამ საგნის შესახებ ვიცით მხოლოდ ის-ლა, რაც მოხდა შემდეგ.

ვაჭრობის გარეშე აი რას ემუდიარებოდა ინგლისის მთავრობას საქართველო: საქართველო ინგლისის მფარველობას იკისრებს და თავის არსებობას მის გამგეობისა და დახმარების ქვეშ აღიარებს, საქართველო ემორჩილება ინგლისსა, იკავს თავის სამეფო არსებობას და ინგლისის მთავრობის დახმარებით; მფარველობს კავკასიის ყველა დავრდომილი ქრისტიანეთა; ყველა ამისთვის ინგლისის მთავრობა სრულს დახმარებას უწევს საქართველოს და საღსარს აძლევს აღორძინებისას. ამ დაპირების აი ზოგიერთი მუხლებიც:

1) ინგლისის მთავრობა საქართველოს მფარველობას უწევს. 2) საქართველოს სამეფოს აძლევს საღსარს ნივთიერად. მთელს ევროპის სახელმწიფოების წინაშე საქართველო ცხადადება სამეფოდ და მის მეფენი კანონიერ ქრისტიან მეფეებად. 3) საქართველოს სამეფო დედა ქალაქში უნდა იყვნენ ევროპის სახელმწიფოთა ელჩები. საქართველოც პნიშნავს თავის ელჩებს ევროპიელთ სახელმწიფოებში. 4) საქართველოში ინგლის შეაქვს სამხედრო სწავლა, აკეთებს სამხედრო სახლებს, სასწავლებლებს. იკრიბება საყოველთაოდ ჯარი, მათ მასწავლებლად ინიშნებიან ნასწავლნი ინგლისელნი. 5) განწერდება სამოქალაქო რიგი, იმართება საზოგადო განათლების სასწავლებელნი, ფოსტა და გზის-მცველნი, ყოველ ხარჯის დასაფარავად ინგლისი აძლევს დახმარებას. საქართველოს მეფე.

დახმარებას აძლევს სომხებს და უკანასკნელ, როცა მშვიდობიანობა დამყარდება, საქართველოს მეფე გამოცხადდება სომხეთის მეფედაც. 7) ინგლისის მთავრობა საქართველოში ჰგზავნის ნასწავლ კაცებს, მხედრებს, ხელოსნებს, ესენი საქართველოში ამყარებენ ევროპიულს წეს-რიგს. იაკობ შახრიმიანს ეძლევა ნება, რომ საქართველოში გადასახლდეს თავის ქონებით და 10,000 მონა ინდუსტრიით. ასევე უნდა მოსულიყვნენ სხვა ვაჭრებიც, მრეწველნი და ტფილისში უნდა დაეხსნათ სხვა ქარხნები და სავაჭროები.

ამ საქმეთა მოწყობის პირობები იმავ დროს წიგნათაც დასტამბეს ინგლისურსა და სომხურს ენაზედ. ამ წიგნის ერთი ცალი მეფე ერეკლეს გამოუგზავნეს და აცნობეს პირობები. ერთი ცალიც სომეხთა იმ დროის კათოლიკოზ ლუკას და ერთი ცალიც ხელმწიფე იმპერატრიცა ეკატირინე მეორეს. ინგლისის მთავრობა ამ წიგნით რუსეთის იმპერატრიცას ავალებდა ამ საქმეში მონაწილეობის მიღებას, რაღაც თქვენ ქრისტიანი ხელმწიფე ბრძანდებით და საქართველოშედაც ახლოსა ხართო, თქვენ შეგეძლებათ, საქართველოს აღორძანებას დახმარება შისცეოთ.

ეს პირობები მეფე ურეკლეს დიდთ მუეწონა და იაკობ შახრიმიანს თავადის შვილობა უბოძა და მასთანვე აჩუქა ქაკუთრებათ მთელი ბორჩალოს მაზრა. იაკობ შახრიმიანმა მეფეს ასეთის პატივის ცემისთვის ინდოეთიდგან ძვრ. როგორი ძლვენიც მოართვა.

ჩვენდა სამწუხაროდ, 1-ლ ჩვენს წერილში მოხსენებულ ძვირფას წიგნის შესახებ ჩვენ ერთობ მცირედი ცნობანი გვაქვს. ერთად ერთი წიგნი გადარჩა, მეფე ერეკლეს ნაქონი, რომელიც უკანასკნელ დროს შეეძინა სომეხთა ცნობილს ისტორიკოს არქეოლოგს ალექსინდრე ერიცოვსა. ალ ერიცოვმა ეს ვრცელი წიგნი მაჩვენა და თან ასე მითხრა:

ბევრს ვეცადე, რომ ის წიგნიც მეპოვნა, რომელიც სომეხთ კათოლიკოზს ჰქონდა, მაგრამ არსაღ აღმოჩნდა. ეჩმიაძინის წიგნთ-საცავში არ ირის. ვერ მივაგენ, აგრეთვე რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორის წიგნს. ეს გახლავსთ

ერთად ერთი წიგნი, მეფე ერეკლეს ნაქონი, რომელიც მე მოვიპოვე 1850 წლებში. ამ წიგნის შესახებ ჩვენს ოჯახში ასეთი ანდერძი მაქვს დატოვებული: „ჩვენი სახლის წევრნი რომ სახლიდგან სხვაგან იყვნენ წასულნი და შინ დატოვებული ჰყვანდეთ პატარა ყმაწვილები და მათი ყურის მგლებელი და, ვსოდეთ, მოხდეს ისე რომ ჩვენს სახლს ცეცხლი წაეკიდოს და ეს ამბმვი ოჯახის წევრთ შეიტყონ, მალე მოვიდნენ სახლში ცეცხლის გასაქრობად, მათ ჯერ ეს წიგნი უნდა გაიტანონ სახლიდგან და მით გადაარჩინონ ცეცხლს და მერე, შეიძლება, რომ ყმაწვილებს მოხვიონ ხელი და გაიყვანონ“.

აი ასე აფასებდა ამ წიგნს ალ ერიცოვი, უეჭველია, ეს საშვილიშვილო დავალება მის მეუღლესაც კარგად ეცოდინება. ქართველთ ერის ისტორიისათვის ეს წიგნი მეტად ძვირფასი განძია; დღეს ეს ერთად ერთი იშვიათი ეჭზემპლიარი ეჩიძინის. წიგნთ-საცავში იქმნება შენახული, რაღანაც განსვენებულის ალ. ერიცოვის წიგნთ-საცავი ხსენებულს წიგნთ საცავისათვის შეიძინა ერთმა მღიდარმა სომეხმა და შესწირა. ეს წიგნი იქ იქნება შენახული, მისი ჩვენთვის მთლათ გაცნობა და დაბეჭდა არ იქნება მეტი. ჩვენ აქ სულ ამ წიგნით ვსარგებლობთ.

მეფე ერეკლემ ბორჩალოს მაზრა იაკობ შახრიმიანს აჩუქი; ყველა ადგილები სამეფოს დაკანონებით მისს საკუთრებათ დარჩა. იმ დღიდგან მამულების შესავალს არავინ იღებდა, პატრონისთვის ინახებოდა და გროვდებოდა, იაკობ შახრიმიანი-კი არ მოღიოდა საქართველოში. ამასობაში გარდაიცვალა იაკობ შახრიმიანი და მისს შემდეგ მისი შვილი უნდა მოსულიყო საქართველოში; ისიც იწერებოდა მოვალო, მაგრამ არც ის მოსულა. ეს ამბები საქართველოს და სომხეთში ბევრგან იცოდნენ. 1799 წ. მეფე გიორგის სპარსეთისა და ოსმალეთის სომეხთა რამდენმამე კომლმა სთხოვა საქართველოში გადმოსახლების ნება-რთვა. ამისთვის მათ რუსეთის იმპერატორს პავლე პირველსაც მიჰმართეს და მეფე გიორგისთან შუამდგომლობა სთხოვეს.

პლ. ოსელიანის სიტყვით, იმავე დროს პავლე იმპერატორმა გიორგი მეფეს ასეთი წერილი*) გამოუგზავნა:

„თქვენო უმაღლესობავ! თქვენი მოსამზღვრე ქრისტიანთ სომეხთა მცხოვრებნი მოხოვენ, რომ დაგვალოთ, რათა თქვენმა უმაღლესობამ მათ ნება მისცეს საქართველოში გადმოსახლებისა და მე ჩემად მოგახსენებთ, რომ ეს თქვენის სამეფოს ფვისაც კარგი იქნება, რადგანაც სომხები ქრისტიანი ხალხია და თქვენც გამოგადგებიან სამეზობლოდ, ამიტომ გთხოვთ მათის სურვილის დაკმაყოფილებას“.

მეფემ იმპერატორის თხოვნა შეასმინა, პატივი სცა და აცნობა, რომ ჩენებ სამეფოში ერთი ლიდი კუთხე მეფე ერეკლებ იაკობ შახრიმიანს აჩუქა. ის ადგილები მის საკუთრებად რჩებაო, ის კი ჯერ არ მოდისო. გადმოსახლენ, იქ დასახლდნენ და, როცა შახრიმიანი მოვიდეს საქართველოში, მაშინ იმას აძლიონ ხარჯიო. საქმე მაღე გამოირკვე, სომეხთ მაღე ეცნობათ მეფის აზრი და პავლე იმპერატორის შუამდგომლობა. სომეხნი მაღე მოვიდნენ საქართველოში და საქმე ისე მოეწყო, რომ 1800 წელს რამდენიმე ასი, სომეხთ ოჯახი გადმოსახლდა. საქრთველოში; იგინი დასახლდნენ ბორჩალოს მაზრაში. ეს სომეხნი ხარჯს შახრიმიანის შვილს უნახავდნენ, მაგრამ იგი-კი მაინც არ მოდიოდა.

ამასობაში საქართველო რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა და ხსენებული ადგილებიც, მეფე ერეკლეს დამტკიცების ძალით შახრიმიანის საკუთრებათ დაშთა; მისი შემოსავალი მთავრობის ხელში გროვდებოდა და შახრიმიანს ენახებოდა, ამ ყოფამ კარგა ხანს გასტანა, ყველამ იცოდა, რომ ბორჩალოს მაზრა მეფე ერეკლემ შახრიმიანს უბოძა; ამიტომ ხმას პრავინ იღებდა, რუსთა მთავრობაც იცავდა მეფე ერეკლეს განკარგულებას- 1845 წელს, ვორონცოვის გამგეობის დროს. თ. თ. ორბელიანებმა და ბარათაშვილებმა ამ ადგილების შესახებ ასეთი დავა ასტეხეს.

მეფე ერეკლემ ადრევე, მამულები ჩამოგვართვა; იმის

*) „მეფე გიორგის ცხოვრება“ 3. ოსელიანისა.

სამაგიერო მამულების ბოძება ვეღარ მოასწრო. რადგანაც მალე გარდაიცვალა. ყველა ის მამულები მეფე ერეკლემ ინდოელ სომებს კრეზს, შახრიმიანს, მიუბოძა საჩუქრად. მას შემდეგ ეს მამულები მის ჩამომავლობის საკუთრებათ რჩება. საქართველო რუსეთს დაუკავშირდა. ამას შემდეგ მამულების შესავალიც შახრიმიანის შეილებს ენახებათ. მაგრამ ისინი მაინც არ მოღიან. როგორც ისმის, არც მოვლენ. აგრე 50 წელი სრულდება და მოლოდინი მოლოდინათ რჩება. ამიტომ, ვითხოვთ, რომ ხაზინაში შესული ფული მთავრობის სასარგებლოდ დაშოეს და ჩვენი ძველი მამულები ჩვენვე დაგვიბრუნდეს. ეს თხოვნა ვორონცოვმა შეიწყნარა და მამულები მათვე დაუბრუნდათ უმაღლესის მთავრობისაგან.

ყველა ეს ცნობა ცხადიდ პმოწმობს, რომ ქართველ ვაჭართა და მრეწველთა ძველთაგანვე ჰქონდათ ინდოელებთან კავშირი, მისვლა-მოსვლა, აღებმიცემა და სხვ. საჭმე ისე იყო რომ XVIII საუკუნეში კალკუტასა და მაღრისეს საქართველოს ქართველთა და სომებთა სავაჭრო ქარვასლებიც გაკეთეს და მასთანვე აღებ-მიცემაც ჰქონდათ გაჩაღებული.

II

ინდოეთში რომ ქართველთ ქარვასლები არსებობდა, ამას ფიქრი არ უნდა. ამ 20 წლის წინეთაც კი თბილისში ნახავდით ისეთ მოხუცებულ ვაჭრებს, რომელთაც კარგად ახსოვდათ, რომ ინდოეთში ძველად საქართველოს ვაჭრების ქარვასლები იყოვო. იტყოდნენ ხოლმე, რომ ძველად თფილისიდამ საქართველოს ვაჭრები იქ მიღიოდენ და ხსნებულ ქარვასლებში ჩამოხტებოდნენ. სამწუხაროდ, ასეთ ცნობათ მცოდნეთ რიცხვიც სადღეისოთ მოისპო და ინდოეთში მგზავრობაც მისწყდა. ქართველთ, ანუ საქართველოს ვაჭრებს, რომ იქ საძირკველი ძველადგანვე არ ჰქონდათ გამაგრებული, უამისოდ XVIII საუკუნის დამლევს საქართველოდამ ვაჭრები იმ სიღიაღით არ დაიწყებდენ მგზავრობას, როგორც ეს მაშინ მოხდა და ნამეტურ 1740 წლების შემდეგიდამ.

კარგად ვიცით, რომ იმ დროს, თფილისში, ინდოეთის საქონლის მაღაზიებიც დაიხსნა. აქ იწყეს მრავლად საქონლის შემოტანა. ამ გარემოებას ცოტა მეფე ერეკლეც პორკეცებდა, რადგანაც იგი ავლანისტანში მგზავრობის გამო ინდოეთის აღებ-მიცემას და საქონლის საქმეებსაც კარგად გაეცნა: ეს გარემოება ისე იყო გაფართოებული, რომ საქართველოში ხშირად მოღიოდნენ თვით ავლანელები, ინდოელები, ბუხარელნი და სხვა აღმოსავლეთის უშორეს ტომის ერნიც. ინდოელნი და სხვა ტომის ერნი რომ XVIII საუკუნის ნახევარს საქართველოს მეფეს და ბატონიშვილებს ესტუმრებოდნენ ხოლმე, ეს კარგად სჩანს თვით იმ დროის ცნობებიდამ და ზეპირ ამბებიდამაც. მათი ხშირი მისვლა-მოსვლა ჩვენს ქვეყანაში თვით ზეპირ გარღმოცემებშიაც კი არის დაშთენილი, მაგალითებრ ნამეტურ წონის სახელების, ზომის, ფულის და სხვანი. ცნობებით ისიც კი არის დაშთენილი, რომ საქართველოს მეფეთა დროს ჯაბახანისთვის (არსენალი) საჭირო იარაღი და თოფის წამალი ინდოეთიდგან შემოჰქონდათ, აქედამვე მოჰქონდათ ქალალდიცაო, რომელსაც სამეფოდ ხმარობდენო.

ასე იყო ინდოეთი ცნობილი და მიტომაც გახლდათ, რომ საქართველოს ვაჭრები იქ უხვად მიეშურებოდნენ, იქიდამ მათ შემოჰქონდათ ძრიელ კარგი საქონელი, მაგარი და კი თვისების. მეორე: ინდოეთიდგან შემოტანა და გზა იყო საშიში, თორემ საქონელი კი ერთობ იაფი იყო. ქართველებში ინდოერი საქონელი ისე იქებოდა, რომ ყოველი კაცი სანაქებოდ სთვლიდა მათს ყიდვას, როგორც დღეს ჩვენ ეპროპის საქონელს ვუშერთ, ისევე იმ დროის ქართველნი ინდოეთის საქონელს სპარსეთის, ოსმალეთის და ავლანისტანის საქონელზედ მაღლა აყენებდენ. ინდოეთს გარდა ქართველებში საქონელი შემოჰქონდათ თვით ამსტერდამიდამაც, მეფე ერეკლეს ამსტერდამიდამ რამდენგზისმე მოუვიდა სხვადასხვა საქონელი, რომელიც ინდოეთიდამ ყოველთვის საქართველოს ვაჭრებს მოჰქონდათ.

ვაჭრებივე იყვნენ თითქმის მეფის მეფოშტენი. აღსანი-

შნავია ის გარემოებაც, რომ ინდოეთში, ინგლისს, ამსტერ-
დაში და სხვა ქალაქებში სომეხთ კათალიკოზებიც აქვნდა მო-
წერ-მოწერა-კავშირი. საქართველოს და სომხეთის ვაჭრებს სო-
მხეთიდანაც გაჰქინდათ სხვადასხვა საქონელი და შემოჰქონ-
დათ კიდეც. ინდოურ საქონელს სომეხნიც ისე აქებდენ და
ადიდებდენ, როგორც ქართველნი—საქართველოში. სომეხთ
დიდი ხშირი მისვლა აქვნდათ ამ ქვეყნებში. ამასვე ასაბუთებს
„მდივანი სომხეთის ისტორიისა“ II წიგნი, გამ. ოფ. 1902 წ.

ვიტყვით, რომ აქ ხამი და უცხო არაფერია, ქართვე-
ლებმა წარსულში აღმოსავლეთის ყველა ხალხთა ცხოვრება-
კარგად იცოდნენ, იცოდნენ მათი შინაური წეს-წყობილება-
ნი, ცხოვრება, ალებ-მიცემა, ხელოსნობა და საქონელის ვი-
თარება. მეფენი იცნობდენ მათს პოლიტიკას და სამეფო წე-
სებსაც, ამით ჩვენი მეფენი საქებნიც კი იყვნენ და გამოც-
დილნიც, აღმოსავლეთის ხალხთა და მეფეთა განძრახვა და
პოლიტიკა მათ კარგად იცოდნენ, აღმოსავლეთელნი ქართ-
ველებს ვერაფრით მოატყუებდენ.

ნაცვლად მის ქართველი არ იცნობდა კარგად ევროპას.
ქართველთ გული ძველადგანვე უფრო აღმოსავლეთისაკენ
მიეღლტოდა და მიტომაც იყო, რომ ყოველი შეგნებული შე-
მძლე ვაჭარიც იქიდამ შემოჰქონდა სხვა-და-სხვა საჭირო საქონელი.
სულ ეს გარემოება გახლდათ, რომ მე-XVIII საუკუნის შუა-
რიცხვებში, დიდი ძალი მატყლი წაიღის ინდოეთში, რამდე-
ნიმე ათასი ფუთი, ზოგი თვით ინდოეთის ვაჭრებმა გაიტანეს,
და მათვე მალე თან გაჰყვნენ საქართველოს ვაჭრებიც და მე-
რე ამათ შემდეგ ინდოეთს მიდიან გრიგოლ ლუკას ძე ხურ-
სიძე (ისარლოვი) და მის შემდეგ სტეფანე ივანეს ძე ზუბა-
ლაშვილი. აქ ამ ორს პირს ცალკე ავნუსხავთ, რადგანაც ამა-
თი ალებ-მიცემის ცნობებიც ასაბუთებს ჩვენს. ცნობებს და
მოსაზრებას.

XVIII საუკუნის ნახევრიდამ, საქართველოს დედა ქა-
ლაქ თფილისში მრავლად გაჩნდნენ ახალციხელ ქართველ კა-
თოლიკეთ ვაჭრები. ამათ დიდი ძალი საქონელი შემოჰქონ-

დათ საქართველოში და აგრეთვე აქედამიც გაპტანდათ სხვა-
დასხვა მასალა სპარსეთს, ოსმალეთს, ინდოეთს და სხვაგანაც.
აშავ დროს თბილისში გაჩნდნენ ახალციხელი ხურსიძენი და
მათი გვარის წევრი ლუკა ხურსიძე, ეს პირი უკანასკნელ
დროს გახდა მეფე ერეკლეს ერთგული და მრჩეველიც. იგი
დიდად პატივისმცემელი იყო საქართველოს საქმეების. ლუკას
მეფის წინაშე მრავალი საიდუმლო ამბებიც კი მოპტონდა ოს-
მალთა შესახებ, რაღაც ლუკას ძმები ოსმალეთის წინაშე
ახალციხეში ისარლებათ ირიცხებოდენ. ერთ დროს მეფისაგან
ეს ლუკა ისარლოვი სპარსეთშიაც იქმნა გაგზავნილი სამეფო
საქმის გამო, საღაც გარდაიცვალა 1793 წ. იქიდამ ველარ
დაბრუნდა. ამავ ლუკას თან ახლდა თავის უმცროსი შვილი
გიგო ხურსიძე-ისარლოვი. გიგო ხურსიძე თავის მამა ლუკას
აქეთ-იქით დაპყვანდა და მგზავრობას აჩვევდა, გრიგოლი სპა-
რსეთში ორჯერ იყო ნავალ-ნამყოფი და ამიტომ მან სპარ-
სეთს გარდა თვით უშორეს ინდოეთის, ავღანისტანის და სხვა
კუთხეთა ცნობანიც კარგად იცოდა. ამიტომ გრიგოლ ხურ-
სიძეს აქეთ-იქით მგზავრობა დიდათ ეადვილებოდა და ამ სი-
ადვილეს ახალციხის თემის ქართველ კათოლიკეთა ვაჭრებიც
უფრო აფართოვებდენ, რაღაც იგინი ერთობ წმირად მგზა-
ვრობდენ სპარსეთს, ოსმალეთს, ინდოეთს და სხვაგანაც.

უკანასკნელ უბედურების გამო, საქართველოს ვაჭრებთ
მგზავრობა დროებით მოისწო სპარსეთს, ოსმალეთს და ინდო-
ეთს, შეჩერდა ბევრი რამ, რაღაც სპარსთაგან აკლებულ
იქმნა მაღაზიები და გაცარცულ ყოველივე. ვაჭრებს თვით
მგზავრობაშიაც ჰქონდავდნენ. გრიგოლ ლუკას ძე ხურსი-
ძე კარგად იყო მცოდნე სავაჭრო საქმეების, ვაჭრობის ასპა-
რეზედ შნო ამათ მათა პაპილანვე მოსდევდათ, იგინი ცნობილნი
იქმნენ ამის შემძლებით. მაინც ახალციხელ ქართველ კათო-
ლიკებს ცხადათ ემჩნეოდათ ვაჭრობაში დიდი მოხერხება, იგინი
ქებულნი იყვნენ ამის მხრით, მათ ვაჭრობითი აღებ-მიცემას
მთელი ქართველობაც კარგად იცნობდა. ამიტომაც იყო რომ
ახალციხელ ვაჭრებს მთელს საქართველოში გზა აქვნდათ
გახსნილი, ყველგან ადვილად მგზავრობდენ და ვაჭრობდენ,

ვაჭრობის ღრმას ამათ გზის კაცები, ანუ დარაჯებიც კი ეძლეოდათ, მთავრობა ოფიციალურად ქართლისა და იმერეთის ეპისკოპოსთა ვაჭრებს უწევდა მფარველობას, ისევე ახალციხის, ანუ ოსმალოს ქვეშევრდომ ისეთ ქართველ ვაჭრებსაც, რომელნიც საქართველოში სცხოვრობდნენ და ვაჭრობდნენ.

ამათი უადვილესად მგზავრობა მეფემაც კარგად იცოდა და მიტომაც იყო, რომ 1782 წ. საქართველოდამ ინდოეთში ახალად გაგზავნილ იქმნა თფილისელი ქართველ კათოლიკე აზნაური რაფ. დანიბეგოვი. ისე იყვნენ მაშინდელი ქართველნი მოწყობილნი და მოქარებულნი, აზიის სახელმწიფოებში სიარული მათ ერთობ ეადვილებოდათ და ამ სიადვილეს მთავრობაც უწყობდა ხელს, რაღაც ევროპაში მგზავრობის ნება-რთვას ადვილად არ აძლევდა, იქ მიმავალ ვაჭრებს უსათუოდ ცოლი უნდა შეერთოთ და ისე უნდა წასულიყვნენ, ცოლს საქართველოში სტოვებდნენ და მიტომ იქ ველარ რჩებოდნენ, თორემ იყო ისეთი შემთხვევები, რომ ევროპაში წასული ვაჭარი საქართველოში აღარ დაბრუნდა. აღმოსავლეთის ქვეყნებში წასვლისთვის კი ნება ეძლეოდათ, რაღაც აღმოსავლეთში ქართველი ვაჭრები ერთობ იშვიათად შთებოდნენ, მარტოდ რამდენიმე ვაჭარნი ინდოეთში დაშთენ და ვაჭრობა დაიწყეს, ამათი უმეტესი ნაწილი სომეხნი იყვნენ და მათთან საქართველოს ქართველ გვარის კათოლიკენიც.

სწორედ ამის მსგავს მაგალითს წარმოადგენს გრიგოლ ხურსიძის საქმე, რომელსაც აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ მგზავრობა უნდოდა, მაგრამ მეფე გიორგისაგან კი ნება არ მიეცა წასვლის იმ ღრმიდე, ვიდრე ივი არ დაინიშნა იმ ღრმის ერთ ქართველ კათოლიკე აზნაურ მოქალაქე ნებიერიძის ქალწედ. 1795 წ. შემთხვევის შემდეგ საქართველოს მოშენების საქმე წინ წავიდა, განახლებამ და ქალაქის მოშენებამ ვაჭრობაც ფეხზედ წამოაყენა, თბილისის ვაჭარ მოქალაქეთ მრავლად იწყეს სპარსეთს, ოსმალეთს და ინდოეთსაც გასვლა, რუსეთშიც მიეცათ ნება მგზავრობისა. სწორედ ამავ ღრმოთა შემდეგ ინდოეთში გადასახლდა გრიგოლ ხურსიძე და ვაჭრობა დაიწყო, რომელიც იქვე დაშთა საყოველთაოდ და

საქართველოში აღარ დაბრუნდა. აღსანიშნავია, რომ ამავ დროდამ საქართველოში მრავლად იწყეს საქონლის შემოტანა რუსეთიდამაც, თფილისის სომებს ვაჭრებს დიდი შემთხვევა მიეკათ აღებ-მიცემის მხრივ, ამათ კარგი ბინა გაიკეთეს კავკავს, მოსდოკს, ყიზლარს და რუსეთს გარდა სპარსეთს, ინდოეთს და ოსმალეთსაც. ნამეტურ მათს აღებ-მიცემის აღორძინებას მხარი და გზა მისცა იმ შემთხვევამაც, რომ 1797 წ. აღა-მაჰმად-ხანი მოკლეს. ამ გარემოებამ სრულიად გაანთავისუფლა საქართველოს ვაჭრების ცარცვა-გლეჯა სპარსეთის მხრის ყაჩაღებისაგან. დასაღუპს აღა-მაჰმად-ხანს ჩვეულებად აქვნდა ყაჩაღების წაქეზება საქართველოს ვაჭრების ხაწინააღმდეგოდ, საცარცვავად და საგლეჯად.

ამ განახლების დროს თფილისში მრავლად იწყეს შემოტანა სხვადასხვა ფარჩეულობის, ჩითების, ძაფეულობის, ჩავარიშების, ყაითნების, ნართი და მრავალიც სხვანი, ნამეტურ უცხოეთის შალები, ქირმანაშლები და რიზაიშალები. თფილისში საფეიქროებიც დაიხსნა, მაგრამ ეს არ კმარილა, ამაებს გარდა სხვაც ბევრი რამ საქონელი შემოდიოდა და ცოცხლად საქმის წარმოებაც აორცეცებდა ქართველთ ვაჭრობას სპარსეთს, ოსმალეთს და ინდოეთს. საქართველოდამ წასული გრიგოლ ხურსიძე დროებით სპარსეთში დასახლდა, იქ დაიწყო აღებ-მიცემა და სხვადასხვა საქონლის საქართველოში გზავნა, შემდეგ დროს, ანუ როცა ზურგი გაიმაგრა, მის მერმე იგი გადასახლდა ინდოეთში, იქ იგი სახლობდა კალკუტასა და მაღრასეს, სადაც მან აღებ-მიცემა ფართოდ დაიწყო და საქმე ისე კარგად წაუვიდა, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ იგი გახდა კარგის შეძლების და ქონების პატრონი, უკანასკნელ მილიონერად გამოცხადდა თავისი დროის ინდოეთის მდიდარ ვაჭართ და მრეწველთ შორის.

ინდოეთში მყოფ გრიგოლ ხურსიძეს დაახლოვებული კავშირი აქვნდებოდა იქვე მცხოვრებ ქართველ ანუ საქართველოს ვაჭრებთან და უშპველია იმის ცნობებს საქართველოშიაც ხშირად მოიტანდენ, ცნობებიც არის, რომ ინდოეთიდან სხვადასხვა ვაჭრებს ხშირად მოჰქონდათ ცნობები გრი-

გოლ ხურსიძის ალებ-მიცემის შესახებო. ამის იქ ყოფნის დროს საქართველო რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა. გრიგოლ ხურსიძემ ეს ამბები კარგა ხანს არ იცოდა თურმე, იგი თავის ცხოვრების და საქმეების გამო სრულიად ინდოეთის ცხოვრებასთან იქმნა მიბმული და უკანასკნელ იქ ცოლიც შეირთო, ინდოელი ქალი, სახელად მაისა, ვისგანაც მას შვილებიც ჰყვანდა, ამიტომ უფრო გრიგოლ ხურსიძე ინდოეთში დაშთა. 1820 წლებში იგი თურმე დიდს სინანულშიაც იყო, რომ ესე რაღ ვქენი, აქ რაღ დავშთიო, მაგრამ რალას იზავდა, პირველი ამისი მიზეზი იყო ცოლიერება და მეორე დიდი შეძლების შეძენა, დიდი ალებ-მიცემის ქონვა, რომელსაც იგი ვერ დასთმობდა ადვილად.

47624
დროის განმავლობის წყალობით, გრიგოლ ხურსიძე დიდად გამდიდრებულა. უკანასკნელ აშ დიდი სიმთიდრის დროსაც კი მაინც კიდევ გახსენებია თავის სამშობლო, მოჰვონებია ნათესავები და მეგობრები, საქართველოს შინაური საქმეები და ამიტომ ნათესავებთან წერილებიც გამოუგზავნია, მაგრამ ამის წერილებს დანიშნულებისამებრ ვერ მოუხწევიათ ხოლმე, მხოლოდ ორი წერილი მოსკლიად მის ნათესავებს: ერთი 1820 წლებს და მეორე 1825 წ. ერთის წერილით გრიგოლ ლუკას ძე საქართველოს ამბებსაც კითხულობდა, მას თურმე არა სცოდნოდა, რომ საქართველო რუსეთს ჩაბარდა, გიორგი შეფე ცოცხალი ჰვონებია, იწერებოდა თურმე: რომ „გიორგი მეფის მეშინას და მერიდებათ, თორემ ადვილად მოვალ საქართველოშით“.

მეორე წერილით იწერებოდა: „მე დიდათ მეთანაღრება გვული, რომ აქა გრჩები და გარდა ამისი ქართული ენაც მავიწედება ინდოეთში, და ესეც სამწუხაროა ჩემთვისთ“. მეორე წერილის შემდეგ მისგან საქართველოში აღარც წერილი შესულა და არც რამე ცნობა, მიზეზი ამის ის იყო, რომ 1820 წლიდამ, საქართველოდამ ვაჭრებმა სპარსეთსა და ინდოეთში მდგზაურობა მთლიად მოსცეს, იქით აღარავინ მიღიოდა, იშვიათი იყო, ამ

იშვიათობას გრიგოლ ლუკასძე⁽³⁾ კარგად გრძნობდა, რაღა-
ნაც ყოველივეს თავის თვალით ხელავდა.

ასე და ამ გვარად, გრიგოლ ხურსიძე ვაჭრობის წყალო-
ბით ინდოეთში დაშთა და 1829 წ. გარდაიცვალა დიდის შე-
ძლების პატრონი. გარდაცვალების წინეთ მას ანდერძის წე-
რილიც გაუკეთებია და ყოველივე თავის შეძლების ნახევარი
თავისი ნათესავებისთვის დაუტოვებია, იმედი ჰქონია, რომ
იქმნება აქ მოახწიონ ოდესმე და ჩემს ქონებას დაეპატრონონ.
ანდერძის წერილი და პირობა შედგენილია ინგლისურს ენა-
ზედ და დამტკიცებულია კალკუტის და მადრისეს ინგლისუ-
რის ნატარიუსისაგან. თვით ანდერძის პირობა რამდენსამე
თაბაზზედ არის დაწერილი, ყველა ქაღალდები ერთად არის
შეკერილ და ინგლისურ ბეჭედ დასმული. ეს პირობის წერი-
ლი ინდოეთიდგან როდის მოუვიდათ მის ნათესავებს, ამისი
არაფერი ვიცით, ხოლო იგი ქაღალდები დღესაც ინახება
გრიგოლის ნათესავების ხელში. 1896 წ. ამის შესახებ დავა
და ლაპარაკიც ატყდა გაზეთებში, რომ ისარლოვები თავიანთ
ნათესავ გრიგოლ ხურსიძისაგან დატოვებულ ფულებს ეძებენ
და იმედია შიაგნებენ კიდეცო, მაგრამ ამ ვვარი არა მოხდარა,
ისარლოვებმა ვერაფერს შიაგნეს, სად დაშთა და როგორ სად
რა დაიკარგა, ან ინახება საღმე რამე, ამაზედ მათ ვერა გაი-
გეს რა. უკანასკნელ დროს, გრიგოლ ხურსიძე სცხოვრებდა
და განაგებდა ვაჭრობით პილანგის კუნძულზედ, ინდოეთს,
საღაც გარდაიცვალა, დარჩა ცოლი და ორი შვილი.

კარგად ვიცით, რომ გრიგოლ ხურსიძეს თან რამდენიმდე
მოსამსახურედ პირნიც ქართველიც ჰყოლია, უმეტეს ახალცი-
ხელნი, ქართველ გვარის კათოლიკენი, რომელიც ისმალე-
თის ქვეშევრდომათ ითვლებოდენ და მათი პასპორტებიც ეძ-
ლეოდათ საგზაოდ. ასეთ პირების რცხვი გრიგოლ ხურსიძეს-
თან მის სიკვდილის შემდეგ მოისპო, იქით აღარც ახალცი-
ხიდამ მიღიოდენ, რაღანაც ახალციხე 1829 წ. რუსეთს დაუ-
კავშირდა და ქართველ კათოლიკეთ ვაჭრებმა თავისუფლად
იწყეს მგზავრობა რუსეთს, ყირიმს, სამზღვარგარეთ და ისმა-

ლეთშიაც, ნამეტურ სტამბოლს, საღაც მათი ვაჭრობა უფრო გაფართოვდა და იქ ძველად გაյეოებული ქარვასლებიც უფრო გამოჩენილ იქმნენ?

საჭიროა მოვიხსენთ ისიც რომ საქართველოს ვაჭრებს სპარსეთზელ მოგზაურობის დროს, გზათ მიმავალთ ბაქოშიაც აქვნდათ ბინა. იქ ისალგურებდენ უმთავრესად, საქონლის საკრებულო ქარვასლა იქაც აქვნდათ და მერე აქედამ ამგზავნებდენ ქარვნებით სხვა და სხვა ადგილებში საჭირო საჭონელს. ბაქო ძველის ძველადგანვე იქმნა საქართველოს ვაჭრებში ცნობილია ბაქოდამ შემოჰქონდათ საქართველოში საჭონელი, უმთავრესად კი იქაც ინდოეთიდგან შემოჰქონდათ, სხვა და სხვა ქვეყნებიდამაც. 1800 წლ. გასვლამდე საქართველოში შემოჰქონდათ შემდეგ ნაირი საქონელი:

შალები, ჩითები, ატჩემუმის ნართი, ყაითანი, ძაფეულობა, ჩაუარიშები და სხვანი, ცხეთი ნართნი საქართველოშიაც იქსოვებოდა, მაგრამ ესენი არ ჰყოფნილა, თუმცი თფილისში სატერიტოებიც იყო მრავლად.

ინდოეთიდგან მოპქონდათ ლილბუკი, შაბი, შაბიამანი, სხვა და სხვა სალებავები, რკინეულობა, სხვადასხვა სახელოსნო და საარტილერიო იარაღნი — ჯაბახანისთვის. ნემსები, ქინძისთავები, სადგისები, ნამეტურ საქარგავი ყაისნალები და სხვა და სხვა საქსოვნი, ყნუ ძაფების ასაგები და საკერავის.

შაქარი, ყინვარი შაქარი, ჩაი, ყავა, სხვა და სხვა სუნოვანი ბალახები და წამლები, რასაც ლიდი გასავალი აქვნდა საქართველოში.

პირპილი, მარილი, ძირა, ზაფრანა, მიხაკი, დარიჩინი, პილი და სხვაც მრავალნი ამგვარნი. ესენი სპარსეთიდგანაც შემოჰქონდათ.

ქალალდიც მრავლად მოპქონდათ და თვით ქოლგებიც, ვიცით ქარგად, რომ ძველადგანვე ინდოეთიდგან შემოჰქონდათ, აგრეთვა ზოგი რამ სახმარი ტყავები და ქურქებიც. ქოლგები საქართველოშიაც აკეთებდენ ქართველნი.

თეფშები, მათლაბები და საქსონის თეფშები, ჩინური თეფშები და მრავალიც სხვა ასეთი ჭურჭელი. საქსონის და ჩინეთის თეფშების სახელები დღემდეა ჩვენს ხალხში დაშთენილი სახმარად. საინებს ქართველნიც კი აკეთებდენ საქართველოში.

მინეულობაც მრავლად მოჰქონდათ, მინეულობა მრავალნაირი და მრავალ-ფეროვანი. მინას ქართველნიც კი აკეთებდენ საქართველოში.

აქ ყველა ვერ მოითვლება, მხოლოდ ის კი უნდა ითქვას, რომ ინდოეთში მყოფ საქართველოს ვაჭრებისაგან არამც თუ მარტოდ საქართველოში შემოდიოდა სხვა და სხვა ასეთი საქონელი, არამედ იგინივე იყვნენ ინდოეთის საქონლის გამტანი ბუხარს, ავლანისტანს, სპარსეთს, ნინევიას და სხვა ასეთ უშორეს ადგილებშიაც, საღაც თათრის ტომის ერნი ვაჭრობის გზაზე ფანატიკობის წყალობით დაძინებული იყვნენ. საქართველოს ვაჭრები ისე მხნედ იქცეოდენ, რომ მათს საქმეებს მთელი აღმოსავლეთის მუსულმანობა იცნობდა, მათ ვაჭრობას რამდენათაც საქართველოსთან გამართული საქონლის გატან-შეტანის ვაჭრობა აძლიერებდა, იმაზეც მეტად აღმოსავლეთის სხვა და სხვა მუსულმან ტომთა ვაჭრობაც, რადგანაც იგინი ინდოეთის საქონელს და ვაჭრობას რაღაც უნდო რველით უმჩერდენ და გათში მათს საქონელს კი დიდი გასავალი აქვნდა, ნამეტურ ყავა და ჩაი-შაქარს.

საქართველოს გაცნობის წინაშე, სომხეთის ვაჭრებსაც დიდი ამაგი მიუძღვისთ და ამის უპროველესობა სპარსელ ვაჭარ სომეხთაც მიეწერება, რადგანაც მათ ინდოეთის ვაჭრობის ვითარება კარგიდ იცოდნენ, იქ მათ ხშირი მისვლა-მოსვლაც აქვნდათ და სომხეთიდამ გარდასახლებულთ მრავლად ცხოვრება, რამაც გამოიწვია ის უდიდესი გარემოებათა პირობებიც, რომ მაღრაცეს სომხებმა სომხური სტამბა დაარსეს ადრიდგანვე და იქ 1770 წელს უნის ეპისკოპოზისაგან ორბელიანების გვარის ისტორიაც დასტამბეს, რომელ ისტორიის მოთხოვნის ცნობებით სომხეთს და საქართველოს ინდოეთ-

თან და ჩინეთთან ისე დაახლოვებულად სთვლიდა, რომ X საუკუნეში ჩინეთის კუთხე ჭემბაკიდამ მოდია ~~ჭემბაკიანები~~, პირველად ესენი სომხეთში სახლდებიან და მერე საქართველოს, ორბეთის ციხისკენ, საიდგანაც მათ გვარათაც ეწოდებათ ორბელიანი. ვგონებთ ესეც კაი ნიშან-წყალი უნდა იყოს იმ გარემოების, რომ ძველად საქართველოს ერს რა დაახლოვებული კავშირი აქვნდა არა მარტო ერთს აღმოსავლეთის კუთხესთან, არამედ მრავალთან და თვით ჩინეთთანაც.

ჩინელებს ქართველები იცნობდენ ძველადგანვე. სიტყვა ჩინელი წარმომდგარია ქებითის გამოსახატავის აზრით და ნიშნავს ჩინელებს. ჩინელთა ცხოვრებიდამ ქართველებს გვაქვს ძველადგანვე დაწერილი დიდალი ზღაპარ-მოთხრობა-რომანები, რომელთა შინაარსიკ მოწმობს ჩეენსა და მათს ვაჭრობითი მხარეებსაც და ამიტომ ქართველთ კარგად იცოდენ მათი გზა-კვალიც.

თნდოელებს და ინდოეთს რომ ვიცნობდით, ამას ხომ მთელი ჩვენი საუბარიც ამტკიცებს და ქართველთ, ანუ საქართველოს ვაჭრების მისვლა-მოსვლა და აღებ-მიცემა.

ინგლისს რომ ვიცნობდით, ესეც იქიდამ სჩანს. კარგად, რომ 28 წლის განმავლობაში საქართველოს მეფეთა და ინგლისის მთავრობას შუა მიწერ-მოწერა იყო გამართული. საქართველო ინგლისს უნდა დაკავშირებოდა.

ჯვდანისტანს, რომ ვიცნობდით, ამას ჩვენი ისტორიაც ასაბუთებს. ავლანისტანი აწერილი აქვს მეფე ერეკლეს ერთ თავის წერილში, რომელიც მან იქ ყოფნის დროს საქართველოში გამოგზავნა, ეს წერილი „ცისკარშია“ დაბეჭდილი. წერილში ასწერს ავლანისტანის გზებს, კლდეებს და ცუდს ხივალს და შაპ-ნადირის გალაშქრებას.

იაშონელებიც რომ უნდა გვცნობოდა, ამას ასაბუთებს „ქართლის ცხოვრების“ ის აღწერანი, სადაც მონგოლები არიან აღწერილნი და მათი გარეგან სახის მოყვანილობა, რა ამ ხალხის სახის მოყვანილობას ვადარებთ იაპონელებისას, ცხადათ ვრწმუნდებით ამათ მგზავრობაზედ.

ქორეიულნიც რომ უნდა რეულიყვნენ მონგოლებში, ამა-
საც ეჭვი არ უნდა, რადგანაც მონგოლის ტომი თავის მონა-
თესავე სხვა და სხვა ტომთა ანუ თემის კაცებით იყო სავსე-
ყველა ამ ტომთა და თემთა ხალხს ჩვენი ისტორია განცვიფ-
რებით აღწერს. მათთვის უცხო სახილველი იყვნენ, იაპონელ-
ნი, კორეიელნი და ამგვარ უცხო თემის ერნი.

ბუხარეთს და მის თემის ქართველნი ძველადგანვე ვიც-
ნობდით და მათთან გვაქვნდა აღებ-მიცემა მხნე სომებს გაჭრე-
ბის წყალობით, ამის მიზეზია, რომ მათში ქართული სახელვე-
ბის მექონი ძველად დაარსებული კოლონიებიც კი არი.

არაბეთს ვიცნობთ ძველადგანვე. არაბეთი აღწერილია და-
წვრილებით მრავალ ქართულ წიგნებში. თვით „ვეფხის ტყა-
ოსნის“ შინააჯსის მომქმედ პირთა ცნობებიც კი იჭ და ინ-
დოეთშია ვადატინილი. უცელა ამ კუთხეთა გზა-კვალი და
ზნე-ხასიათი ქართველთა ძველადგანვე იცოდნენ. მათი გულა-
დობა, მხნეობა, ბრგეობა, გულ-ამაყობა, ხელოსნობა, ხელო-
ვნება, მკურნალობა, ვაჭრობა და სხვანი ქართველებში, ნაკე-
ბი იყო. მიტომაც იყო, რომ ყოველს ძველს ქართველ მწე-
რალს თავის მოთხრობათა ცნობები სულ ზემოსენებულს
ქვეყნებში გადაჰქონდათ, ქართველებს ქებით მოუთხრობდა მათს
ვითარებას. ქართველნიც რაღა ფიქრი უნდა, ჰბაძავდნენ მათ
და უცელა საგანსა. და საქმეში მათ თანამდებარებელად ხდებოდენ.
ინდოეთის სიახლოეს ხომ ცხადათ აჩენს თვით სიტყვა იხდის
ხურმა და სხვა ხილობა სახელებიც იხდოური და სხვა ფრინველ-
თა სახელებიც საქართველოში ძველადგანვე გავრცელებულნია
როის ჩვენდა სამწლხაროდ, ამ საქმეთა და საგანთა ცნობები
არ გვაქვს, თორემ მისი დიდი მნიშვნელობა კარგად გამო-
ჩნდებოდა, გვეცოდნებოდა კარგად, რომ ჩვენს წინაპრებს
ძველადგანვე ვაჭრობის მხრით არამც თუ ამ ხსენებულ ტომთან
ჩქვნდა კავშირი და მისვლა მოსვლა საკმარისად გაფართოვებული,
არამედ თვით ძველი ძველადგანვე უხსოვარის დროიდამ ფი-
ნიკიელებთანაც კი, ასურელებთანაც ბაბილონელებთან, ბერძ-
ნებთან და რომაელებთანაც, რომელთა ნიშნები ჩვენს სა

მშობლოშიაც კარგად სჩანს და რომელთა კვალს ჩვენი მემა-
ტიანენიც მოგვითხრობენ. ქართველთ ანუ საქართველოს ერის
აღებ-მიცემის კავშირს აღმოსავლეთის ძველს ხალხებთან ბი-
ზანტიის და რომაელთ ძველი მწერლებიც მოგვითხრობენ და
მათ შორის სტრაბონიც. ჩვენდა საუბედუროდ, საშუალ სა-
უკუნოების 'შემდეგ, აზიაში, ისლამის გამარჯვების წყალო-
ბით ყოველივე ასეთის დიადის ვაჭრულის სხივის წარსულისა-
ჭართველებში ქრება ძირიან-ფესვიანად, სწყდება მისი ძველა-
ლგანვე გაბმული ძაფი ანუ ლარი, ყოველივე დამხობას ეძლევა.

მხოლოდ საშუალ საუკუნოების შემდეგიდან ჭართველთ
შორის კვალალ ხშირდება მისვლა-მოსვლა ზემო ხსენებულს
კუთხის ხალხში, საქართველოს ვაჭრების რიცხვი მრავლდება
ინდოეთს, სპარსეთს და სხვა ქვეყნებში, იქიდამ მრავლად
შემოაქვსთ და გააქვსთ სხვა და სხვა საქონელი და ძველებუ-
რად კვალალვე ჩაღდება საქართველოს ვაჭრების აღებმიცემა.
XVIII საუკუნეში, ამის ასპარეზზე სჩედებიან რამდენიმე ვაჭა-
რი და მათ შორის უკანასკნელ ჩვენს საგნად გამხდარი ვაჭა-
რი მილიონერი გრიგოლ ლუკას დე ხურსიძე-ისარლოვი, რო-
მელიც ინდოეთში გარდაიცვალა და რომლის დიდი შეძლე-
ბა, ე. ი. ფული, შენახულ იქმნა ინდოეთის დის ბანკში, სა-
დაც ვგონებთ ეს ფულიც დაიკარგა უცნობლად, ამის სიკვ-
ლილით გაქრა თვით მის დიდ აღებ-მიცემის და მრეწველობის
ცნობებიც. მის მერმე საქართველოდამ ინდოეთის თუ სხვა
ამ გვარ შორეულ აღმოსავლეთის ერთა ვაჭრობის ასპარეზზე
ჩვენ ვხედავთ სტეფანე ივანეს დე ზუბალაშვილს, რომლის
ცხოვრებაც მსგავსად გრიგოლ ხურსიძისა ინდოეთშივე ქრება
უჩუმრად და უჩინრად.

III.

ჯერედ საქართველო ისევ თავის მკვიდრს სამეფოს სა-
ძირკველზედ, იდვა რომ თფილისში ვაჭრობამ აღორძინება იწა-
კო. ვაჭრობის ამხედრება აღორძინებისათვის მეფე ერეკლებ

აზნაურის შვილების მოძებაც დაიწყო, რამდენსამე მოქალა-
ქეთ აზნაურის შვილობაც უბოძა და მასთან ყმებიც. ერთს
ვაჭარს თავადიშვილობაც მისცა, მიზეზი ამის ის იყო, რომ
ეს ვაჭარი რუსეთში ვაჭრობდა და იგი მეფესაც ჰპირდებოდა,
რომ საქართველოშიც გავხსნი მაღაზიებს და ვაჭრობას გავა-
ფართოვებო. ვაჭრობის მხრივ თფილისის მოქალაქენიც უფრო
დიდის პატივით შემოსა, იგინი იქმნენ „მოქალაქედ“ წოდე-
ბულნი თფილისისა, გვამნი დარბაისელნი და ერთგულნი ვა-
ჭარნი მეფისა და ერისა, ვინაიდგან ხანდისხან მეფე მათ ვაჭ-
რობის მგზავრობის დროს აქა იქ სამეფო საქმეების გამო ქა-
ლალდებსაც კი ატანდა, მაგალითებრ თვით რუსეთის კარი-
საღმი, სპარსეთის და ოსმალეთის. ყველა ესეთი მხარეები ვა-
ჭრობას დიდს მხარს აძლევდა და თფილისი 1795 უბედურების სა-
მი წლის შემდეგ, გაივსო სავაჭროებით, გაშენდენ და განახლ-
დენ ქარვასლები, მოშენდენ სოვდაგრები, ზარაფნი, მაღა გაი-
მართა ქარვანებით ვაჭრული მგზავრობა, საქონლის მრავლად
გატან-შემოტანა. თფილისის გარდა ვაჭრობამ გორშიაც იწყო
აღორძინება. ახალად მოშენებულს კუთხეში ვაჭრობის ხმაუ-
რობამ მძლავრად იწყო მოშენება, დღე და ღამ ურმით, აქ-
ლემებთ და ჯორცხენ საპალნებით საქონლი შემოჰკონდათ
და გაჰქონდათ სპარსეთს, ოსმალეთს, რუსეთს, ინდოეთს და
სხვაგანაც.

ამ ვაჭრობის და თვალის გახილების დროს, ზოგი ვაჭა-
რი წინაურდება აღებ-მიცემით, ზოგი უძლურებას ეძლეოდა,
ვრდომას. ეს ხომ ვაჭრობის წესი გახლავსთ. ერთი და ორი
ვაჭარი თუ სავაჭრო საქმებით წინ მიღიოდა, მიტომ მის ნაცვ-
ლად მეორე მხარეს მეორე და მესამეს ვაჭრობის საქმე უფერ-
ხდებოდა. სწორედ ამ ვაჭრობის მრავლ ფეროვან ხანას შეესწ-
რა ქართველთ კათოლიკეთ ვაჭარი სტეფანე ივანეს ძე ზუბა-
ლაშვილი.

სტეფანე ივანეს ძე ზუბალაშვილის დაბადება მიეწერება
1780 წ. მაშასადამე იგი 21 წლის ვაჟკაცი იქმნებოდა იმ
დროს, როცა საქართველო რუსეთს ჩაბარდა. სტეფანე ივანეს

ე დაიბადა ქ. გორს. როგორც წესი და რიგი იყო იმ დროის კათოლიკეთა სწავლა ჯერ შინ მიიღო და მერე გორის კათოლიკეთ ეკკლესიის მოძღვართან სწავლობდა. დროს მიღწეული საკმარისად განვითირდა არა მარტო ვაჭრობაში, არამედ ქართული წიგნების კითხვაშიც და მასთან აღმოსავლეთის უკელა ხალხთა ცხოვრების. საქმებსა და ხელოსნობაში, აღებ-მიცემაში. და სხვა. სტეფანე ივანეს ძე კათოლიკის ბერების შრომით კარგად მომზადდა, მან ჩინებულად შეისწავლა ევროპის და აზიის სამეფოებთა უკელა საზღვრები. ამ ქვეყნის გზები, მგზავრებთ მდგომარეობა და ვაჭრობის საქმე, საქონლის მაზანდა, მის ფასების აწევ-დაწევა და ისიც, თუ მათი საქონელი სად როგორ რა გაიყიდებოდა, ან უცხოეთის საქონლის შეტანას რა დიდი მნიშვნელობა აქვნდა საქართველოს ვაჭრობის აღორძინების ასპარეზედ.

ასეთ საქმეთა დარგის მიხვედრას ერთის მხრით სტეფანე ივანეს ძის მემკვიდრეობითი ნიჭისაც შეადგენდა. მეორე: მის განლვიძებას თვით დროთა ცვლილება და მის აღებ-მიცემის საქმეც ითხოვდა. ამ დროისთვის თუ როგორ იყო განლვიძებულ საქართველოს ვაჭართ მდგომარეობა და მღვიძარება, ერთის მხრით ეს სომხეთი იმ გარემოებიდამაც სჩანს, რომ საქართველოს და სომხეთის ვაჭართ ინდოეთს გარდა მისვლა-მოსვლა ჰქონდათ თვით ამსტერდამშიაც. იქიდამ საქონელიც შემოჰქონდათ, ნახეთ ამაზედ „მღვივანი სომხეთის ისტორიისა“ გამოც. ტერგუტასი 1901 წ. თფილ. საქართველოში, იმ დროს, თფილისსა, გორსა და სხვა დაბებშიაც ზუბალა შვილებში რამდენსამე პირს აქვნდათ სხვა და სხვა სავაჭროები დახსნილი, ივანეს, გიორგის და ამათ სახლიკაცებს თფილისში შემოჰქონდათ სხვა და სხვა ჩითეულობა, ფარჩეულობა, აბრაშუმის და მატყლის შალები, ჩუსტები ოსმალეთიდგან, სარკეები და სხვაც ბევრი რამ ნივთები, მათი ასეთი შეცლებლობა იყო იმის სახსრად და თვალთ საჩენად, რომ ზუბალა შვილებს თვით კარის ვაჭრათ და შუამდგომლად იყენებდენ მეფენი და მთავრები. ასეთნი არიან ძველ დროს ზურაბი, გიორგი, ივანე,

მერაბი და სხვანი და მათ შემდეგ სტეფანეს ძმები და ბიძებიც.

რუსეთის მთავრობა საქართველოში ფეხს დიდის ტვირ-
თით იკიდებდა, ქართველობა თუმც არ ეწინაღმდეგებოდა, მა-
გრამ მათ მაინც სურსათის და სადგომების მხრივ ძრიგლ უძ-
ნელდებოდათ საქმე და მფლობლობა. ამ დროს, ზუბალაშვი-
ლებმა მთავრობას ხელი შეუწყეს და დიდრონი ფოდრატების-
ალებით, სურსათის გადმოტან-შოვნით და შენობების და ხი-
დების დადგმით საქმე ერთობ გაუადვილეს, ამის შემთხვებით
თვით ზუბალაშვილებში დიდი გაჭრობის მიყოლაც ერთი ათად
ელორძინდა. ამ დროს, ზუბალაშვილებში უკვე რამდენიმე
შეძლებულზი ვაჭარნი სახელოვნებდნენ და ერთ ამათგა-
ნი იყო სტეფანე ივანეს ძე ზუბალაშვილი, რომელიც საქარ-
თველოში ვაჭრობდა.

სტეფანე ივანეს ძეს თფილისში აქვნდა კარგი მაღაზიები
და თავის დროის კვალად ჰუიდდა ყველა ნიირს საქონელს,
ევროპიულს, ოსმალურს, ადგილობრივ და აღმოსავლეთის
ერისას. ვაჭრობის მხრით სტეფანეს ელმოსავლეთის ერთა ვაჭ-
რობის ყველა ხერხი და ოსტატობა კარგად აქვნდა შესწავ-
ლილი. მის დროს საქართველოს ვაჭრები, როგორც ვთქვით
ზემოდ, მგზავრობდენ სპარსეთს, ინდოეთს და ხვლანისტანს,
ამიტომ სტეფანე ივანეს ძემ თამამად გაბედა და 1808 წელს
სპარსეთში წავიდა სავაჭროდ. იქიდამ ინდოეთსაც იყო, კალ-
კუტას და მაღრასეს, სავაჭრო საქმეების გათავების შემდეგ
სპარსეთის გზით დაბრუნდა საქართველოში და თან შემო-
ტანა დიდი ძალი საქონელი.

ამ მგზავრობის დროს მან სხვა და სხვა მუსულმან ყაჩა-
ლებისაგან თავდასხმა და გაცარცვა ნახა, ამიტომ ვაჭრობაში
საქმე შეუფერხდა, რამდენიმე ხნის განმავლობაში საქონელი
გაასაღა და 1811 წ. მეორედ წავიდა სპარსეთში, ერთი წლის
შემდეგ იგი დიდი საქონლით დაბრუნდა, ამის დაბრუნებას
თან დაჰყვა სხვა და სხვა ამბოხებანი და შინაური მდგომარე-
ობა 1812 წლისა. ამ გარემოებამაც დადი ზნევა მისცა სტე-
ფანეს აღებ-მიცემის საქმეს, ორმა დიდმა ზარალმა იგი სას-

ტიკათ მოლუნეს, მოგება ვერა ნახა-რა, ზარალი კი დიდი, ამ ზარალმა მისი ცხოვრების საქმენი არივ-დარივა. იმ დროს ერთის შეძლებულის ვაჭრისთვის ორი დიდი ზარალი საგრძნობელი უნდა ყოფილიყოს. ერთის მხრით ეს ისე დიდი უბე-დურება არ იყო მისთვის, როგორც შიში და დიდი მორიდება მის, რომ ვაი თუ მომავალში უფრო ცუდათ წამივიდეს საქმეო.

ამიტომ მან გადასწყვიტა საქართველოდამ გადასახლება სპარსეთსა და ინდოეთში. 1815 წ. უკვე წავიდა სპარსეთში, იქ დასახლდა და ვაჭრობა დაიწყო. სპარსეთში მას ვაჭრობა კარგად წაუვიდა, იქ ფული მოიგო და მალე შესამჩნევ პირად გახდა. როგორც შეძლებული პირი, სტეფანე ივანეს ძე ინდოეთის ვაჭრობასაც თვალ-ყურს ადევნებდა და ხშირად ინდოეთში მყოფ ქართველ ვაჭრებს წერილებსაც სწერდა, რნ-დოეთის ვაჭრობის საქმეს ტყობულობდა, ინდოეთიდგან მას ქართველ კათოლიკე ვაჭრებთაგან მეტად კარგი ცნობები მოჰსდიოდა, ამიტომ მან სპარსეთიდამ ინდოეთს გარდასახლება გადასწყვიტა და იქ მალეც წავიდა. იგი მალე ჩავიდა ინდოეთში. კალკუტას და მაღრასეს ვაჭრობაც დაიწყო.

კალკუტას და მაღრასეში სტეფანე ივანეს ძეს სავაჭრო საქმეები კარგად წაუვიდა. გრიგოლ ხურსიძის და სტეფანეს ალებ-შიცემამ თვისკენ დიდი ყურადღება მიიპყრო, ამ გარე მოებამ ახალციხელ ქართველთ კათოლიკე ვაჭრებში კვალად განალვიდა მგზავრობა, მათ მრავლად იწყეს იქ ისე გადასახლება, რომ 1820 წ. სპარსეთსა და ინდოეთში ქართველ კათოლიკე ვაჭრების მოელი გუნდი არსებობდა. საქმე ისე მოეწყო, რომ ინდოეთში ქართველნი და მათი ვაჭრობა ცნობილ იქმნა ოთხ-სავ კუთხივ, მათ შესახებ ინდოელნი ქებით მოუთხრობდნენ ერთმანერთს და თან ქართველსაც ახსენებდენ.

ქართველთა საცნობლად და სალაპარაკოდ, ვვონებთ, 1829 წლებში ისიც კი უნდა კმარებულიყოს, რომ ერთმა მდიდარმა ქართველმა თავის ქონების ანდერძის წერილი ინჯლისურად შედგენილი და ნოტარიუსისაგან დამტკიცებული

დასტოვა, რაც უეჭველია საგანი იქნებოდა ქართველების ხსენების.

უნდა მოგახსენოთ, რომ რუსეთის ახალ მთავრობას და სავაჭრო წესებს ზოგიერთი შეძლებული ვაჭრები ვერ მოეწყვნენ, მათ რაღაც ახალი ვაჭრული წესები ვერ შეითვისეს, ერთი ასეთთაგანი იყო სტეფანე ივანეს ძე ზუბალაშვილიც, რომელსაც სავაჭროდ გული უფრო სპარსეთსა და ინდოეთში მიეღოტოდა, მის აღებ-მიცემის საქმეს კი ეს მკაცრად ეშესა-ზამებოდა. ოსმალ სპარსთა შულლი, რუსეთის წინაშე მტრობა და ამ სახით სტეფანეს ვაჭრობასაც კაი ზარალი მოსდიოდა ხოლმე. მაგრა გარემოებათა პირობებს კი სტეფანე არ აკვირდებოდა, იგი მხოლოდ სპარსეთში და ინდოეთში და პპოვებდა და პტიქრობდა შვებას. იქ ამას მართლაც კარგად წაუვიდა ვაჭრობის საქმე, იგი მალე დადგა ფეხზედ, ამას თავის მიზე-ზებიც აქვს, რადგანაც იქ ქრისტიანებს უფრო მეტი პატივი აქვნდათ ინგლისის მთავრობისაგან მინიჭებული, ვიდრე თვით ინდოელებს და სპარსელებს. ამას გარდა თვით ქრისტიანებიც მათზე უფრო მხნედ და ყოჩალათ იქცეოდნენ. ვაჭრობაში სა-ნთელივით ენთნენ და ჩარხივით ტრიალებდენ.

თუმცა სტეფანეს ინდოეთში საქმე კარგად წაუვიდა, თუ-მცა იგი იქ გამდიდრდა და ქონებით დაწინაურდა, თუმცა შე-მდეგ დროში იგი ცნობილ იქმნა მთელს კუთხეში როგორც შეძლებული პირი, მაგრამ მის ნაცვლად იგი თვის სამშობლო ქვეყანას და ერს კი სამუდამოთ მოესხლიტა, მისი ცნობები მის ნათესავებთან 1830 წლების შემდეგ აღარ მოსულა, მის ამბებთა მომგონთ და მომსმენთ კაცთა რიცხვი დღეს ერთობი შვიათია, ბევრი რამ ცნობები სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილმაც იცოდა, რომელსაც თავის მამისაგან გაეგონა, მის მამას კიდევ მამისა და ბიძებისაგან. განსვენებულს მე-ტად დიდი ნატორა აქვნდა ამ პირის ცხოვრების მოკლედ აღ-წერის და დასტამბვის. ასევე ამ პირის შესახებ ცნობები იცის ანტონ დავითის ძე ზუბალაშვილმა, ვისგანაც ვისარგებლეთ კიდეც. სტეფანე ზუბალაშვილის ცხოვრება სპარსეთში სიბ-

ნელით არის მოცული. ჩვენ არ ვიცით, თუ იგი უკანასკნელ დროს სად სცხოვრებდა და სად გარდაიცვალა, ამის ცნობა არ არის დაშთენილი და ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ მას 1845 წლამდე უნდა მოეღწია.

სპარსეთში იგი ვაჭრობდა ჩითეულობას, ჩაი-შაქარ ყავა და სხვა წვრილმან საქონლით, ინდოეთშიაც ამავე საქმეებს აწარმოებდა, მხოლოდ იქ იგი ჰყიდდა სამთელსაც, საპონს და აწარმოებდა სამრეწველო საქმეებსაც, აქვნდა დიდრონი სამლებროები და უკანასკნელ სამოლისა და საპნის ქარხანაც, რასაც ინდოეთში თურმე მეტად დიდი გასავალი აქვნდა. სად გარდაიცვალა და ან სტეფანეს ქონება ვის დაშთა არც ამის ცნობა გვაქვს, მხოლოდ ისკი ვიცით, რომ სტეფანე უკანასკნელ წლებს უნდა მიზიდული ყოფილიყოს თანამერჯულე და თანამედროვე გრიგოლ ხურსიძისაგან, რომელიც 1829 წლებში ინდოეთის პილანგის კუნძელზედ სცხოვრობდა და სადაც გარდაიცვალა კიდეც. ამ პირს რამდენიმე ქართველ კათოლიკეთ ვაჭრები ეხვივნენ გარს და ამათ გვერდივე იქმნებოდა სტეფანე ივანეს ძე ზუბალაშვილიც, რომლის აღებ მიცების ცნობები დიდათ საინტერესო უნდა იყოს ჩვენთვის. ამისი ცნობები კარგად იცოდა ქართველ კათოლიკე მოხუცებულ ილ-მადა ახალციხელ ნ.—ძემ.

ცოდვა კია ჭეშმარიტად, რომ ქართველებს ასეთი დაუდევრობა გვეტყობა ყველაფერში, ჩვენ არ ვიცით ჩვენის ტომიის განვლილ დღეთა და საქმეთა ცნობები. სამწუხაროდ მას არც ჩვენი წინაპარნი აკვირდებოდენ და არ სწერდენ, თორემ მათ რომ ჩვენითვის ცნობები ეკრიბათ და ეწერათ, დღეს ამ ცნობებს ორის ხელით დავიჭერდით, სამწუხაროდ ჩვენმა ძველებმა ამის მნიშვნელობა სულ არ იცოდენ და მიტომ მათ არაც არაფერი დაგვიტოვეს ამ საგანზედ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თფილისიდამ სპარსეთს და ოსმალეთში თითო და ორ ორი ვაჭარი კი არ წავიდოდა სავაჭროდ, არამედ რამდენიმე კაცი ერთად, თითქმის მთელი ქარვანი. ვაჭრები წინადვე გააგებინებდნენ ერთმანეთს, თუ ვის რა სა-

ქონელი უნდოდა, ვის საიდგან რა უნდა შამოეტანა საქართველოში, სად უნდა წასულიყო, სად უნდა ევაჭრათ და სხვანი, ასე შეკრებილთ ვაჭრებს ყოველთვის ქარვანი ახლდათანა, იგინი მიღიოდნენ თოფ-იარალით ახსმულნი, ჯორებით, ძქლემებით, ურმებით და ცხენებით, ფულიც თან აქვნადათ.

სამეფოდამ ამათ ეძლეოდათ სამოურაოდამ ყულაუზები და გზის მცველნი. მაშინ ძრიელ ძნელი იყო ვაჭრის გაჭუცვა, ვინც ვაჭარს გაჭუცავდა, ის სასტიკად დაისჯებოდა, წამრთმევს ყველაფერს გადახდევინებდნენ და გარდა ამისი სიკვდილითაც დასჯიდენ. ამიტომ ვაჭართ ვაჭურდვას ყველა ერიდებოდა. მეორე: რაც გინდ ცოტანი წასულიყვნენ ვაჭრები ერთად, იგინი 20 კაცზედ ნაკლები მაინც არ იქმნებოდენ. ჩვენ კარგად ვიცით რომ ასეთ ვაჭრებს, თან დიდი შეძლებაც გაპქონდათ. იმ დროის კვალიად თითო ვაჭარს 3000 მანაკლები არ გაჰყვებოდა რეჭო, ზოგს მეტიც. ამთ სხვა და სხვა ხელ მოკლე ვაჭრებიც ატანდნენ ფულს თავიანთვის საქონლის შემოსატანად. ესენი დანაპირებს ყოველთვის ასრულებდენ.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სპარსეთსა და ინდოეთს მგზარობა ისე თფილისელ ვაჭრებს არ ეძღვილებოდათ, როგორც ახალციხელ ქართველ კათოლიკეთა. კარგად ვიცით, რომ სტეფანე ივანეს ძე ზუბალაშვილის დროს ერთად თან გაემგზავრნენ თფილისის ქართველ კათოლიკეთაგანი მრავალი სხვა და სხვა შეძლებულნი და ცნობილნი ვაჭრებიც, რომელნიც სამწუხაროდ სპარსეთს, ხოროსანს და ინდოეთს დაშთენ სამუდამოდ და ჩვენ მათი აღებ-მიცემისა არა ვიცით-რაც ქართველ კათოლიკეთა სამგზავროდ ყოველთვის ახალციხეზე უხდებოდა და თფილისის სომეხთა და ქართველთ კი განჯის მხრით და ბაქოსი, მიზეზები მათის მგზავრობის განსხვავების შესდგებოდა შემდეგის პირობებიდამ. ახალციხელ კათოლიკეთ სულიერი მდგომარეობა სწევდა ამათ და მათგან გამოწვეული ის ურთიერთ დახმარება, რაც კი იგინი ერთმანერთს აძლევდენ და უჩენდნენ, გარდა ამისი ოსმალეთის მფლობე-

ლობის მფარველობისაც დიდი იმედები ჰქონდათ, ახალციხის ფაშებთაგან მათ ეძლეოდათ მოწმობანი, სადაც იგინი ინიშნებოდენ ოსმალეთის ქვეშევრდომად, ანუ ოსმალეთის კაცად და ძნელად, რომ იგინი ვისმეს საღმე გაეცარცვ-გაექცეათ, ანუ მოკლეთ, მათ მკვლელთ მწარე დღე დაადგებოდათ. ამიტომ უფრო ეტანებოდნენ ახალციხის მგზავრებს და თავიანთ თანამერჯულე კათოლიკეთაგან მფარველობას. მეორე კათოლიკეთ გარდა მთლად მგზავრებსაც უფრო ეაღვილებოდათ ახალციხიდამ მგზავრობა სპარსეთსა და ინდოეთზედ.

საუწყებელია ისიც, რომ ოსმალეთის საქართველოს ქართველ კათოლიკეთ სხვა და სხვა საქონელი არამც თუ მარტოდ საქართველოში შემოჰქონდათ, არამედ ოსმალეთშიაც გაჰქონდათ და ნამეტურ კონსტანტინეპოლის. ინდოეთს, სპარსეთს, ოსმალეთის ქართველ კათოლიკ ვაჭრები რიცხვით დიდათ იყო გამრავლებულ გავრცელებული კონსტანტინეპოლის და იქ მათი კაი ქარვასლაც არსებობდა, რაზედაც ჩვენ სხვა-განაც გვისაუბრია. ოსმალეთის მთავრობა ერთის მხრით ამიტომ უფრო აფასებდა ახალციხელ ვაჭრებთ საქმეს და აღებ-მიცემას, რადგანაც ამათ უშორესის ქვეყნებიდამ მათს იმპერიაში სხვა და სხვა ნაირი საქონელი შემოჰქონდათ, რაც ოს-მალეთის ერთს მოთხოვნილებასაც აკმაყოფილებდა, მთელს მცირე აზიის ვაჭრობას მარტოდ ბერძნები, სომხები და ოს-მალეთის საქართველოს ქართველ კათოლიკენი მისდევდენ. მუსულმანებს ამის ასპარეზედ ლრმად ეძინათ, ვერაფერს აკეთებდენ, მათი შევეღრი ომი იყო და ნადირობა, სხვა და სხვა ტომთა კუთხეების დამორჩილება დაჭრაზედ. ქართველ კა-თოლიკეთ კაი სავაჭრო ბინა ჰქონდათ ქ. ყაზმინსაც.

სტეფანე ივანეს ძე ზუბალაშვილს სპარსეთსა და ინდოეთში დიდი მნიშვნელობა ჰქონია იმის მხრითაც, რომ მას ახალციხიდამ და თბილისიდამ სხვადასხვა ვაჭრები მიმართავდენ და თავიანთის ფულით საქონლის სყიდვას ავალებდენ, მერე მგზავრ ქარავნების საშუალებით საქართველოში გამოგზავნას, რასაც სტეფანე მართლაცა და ყოველ თვის სინიდი-

სიერად ასრულებდა, იგი სხვადასხვა საქონელს არამც თუ მა-
რტოდ სხვადასხვა უცხო ვაჭრებს უგზავნიდა, არამედ თავის
ნათესავებსაც, რაღანაც მას მიწერ-მოწროა აქვნდა ყველა თა-
ვის ნათესავებთან და მახლობლებთან. სულ მისი წყალობა:
იყო, რომ 1830 წლებში დავითი, გიორგი, მიქელი და სხვა-
ნი ვაჭრობით განითქვნენ და ამათ თავიანთ თანამონათესავე
სტეფანეს მსგავსად რუსეთში და ევროპაში იწყეს მკზავრობა
და აღებ-მიცემა. საქმე ისე წავიდა, რომ ერთი ამათ ვგარის
წევრთაგანი გერმანიაშიც წავიდა 1823 წ. საკომერციო და
საბუხვალტერიო სწავლის მისაღებად, სადაც შემდგომ ცნო-
ბილ საგნების მაგიერ შკურნალობა შეისწავლა (ნახეთ ამაზედ
ზუბალაშვილების გვარის ისტორია).

სტეფანეს ინდოეთში და სპარსეთში ყოფნის და ვაჭრო-
ბას დიდი მნიშვნელობა აქვნდა საერთოდ ვაჭრობის მხრით
ზუბალაშვილების ოჯახის წევრებზედ და ნამეტურ იაკობ ივა-
ნეს ძეზე და დავითზედ. სტეფანეს ვაჭრულის შნოთი და მა-
გალითით გატაცებულნი იყვნენ ესესი და მათთან სხვა მრა-
ვალი კათოლიკე ვაჭრებიც, რომელთაც რუსეთში პირველად
იწყეს იარმუკობაზედ წასვლა და ვაჭრობა. ნამეტურ „მაკა-
რიის ვაჭრობა-იარმუკობაზედ“. ამის ცხადი მოწამეა ანტონ
დავითის ძე ზუბალაშვილი, რომელმაც სთქვა, რომ „შე პა-
ტარა ვიუავ და ჩემთან სხვა ჩვენი გვარის ზუბალაშვილებიც, როცა
ჩვენმა მამა-პაპებმა „მაკარიის იარმუკაზედ“ წაგვიუვნეს და სპარ-
სეთისა და ინდოეთის საქონელის მაგიერ რესის საქონელი შემო-
ვიტანეთო“. ასე და ამგვარად კარგად სჩანს, რომ რამდენათაც
საქართველო ევროპას და რუსეთს უახლოვდებოდა, რმდენად
ახალციხელ და თფილისელ ვაჭართ მისვლა-მრასვლა სპარსეთ-
თან და ინდოეთთან ისპობოდა. ამით ქართველთ ჭორის ის-
პობოდა თვით სტეფანე ზუბალაშვილის აღებ-მიცემის ხსოვე
ნაც. კარგად სჩანს, რომ საქართველოდან ინდოეთსა და სპარ-
სეთში სავაჭროდ 1835 წლების შემდეგიდამ აღარავინ წასუ-
ლა, იქ თუ ვინმე იყვნენ ვაჭრებთაგანნი, ისინიც კი საქართ-
ველოში ბრუნდებოდნენ, 1840 წ. აღარავინ მიდიოდა. თით-

ქმის სულ დაბრუნდნენ ინდოეთ-სპარსეთიდან საქართველოში. იქ დარჩა ორიოდ ვაჭარი თფილისელი და ახალციხელი, ისინიც დიდი შეძლების პატრონები, რომელნიც ხანდისხან კვალად გზავნიდნენ თავიანთ მონათესავეებთან სხვა და სხვა ძვირფას საქონელს და წერილებს. ასეთ იქ დარჩენილ მდიდარ ვაჭართაგანია გრიგოლ ხურსიძე, რომელიც გარდაიცვალა 1829 წ. და სტეფანე ივანეს ძე ზუბალაშვილი, რომლის გარდაცვალებაც 1458 წ. მიეწერება. მთელი ამათი შეძლების მფლობელობა გაფანტული იყო მაღრასესა და კალკუტაში, სადაც ძველადგანვე იყვნენ გამრავლებულ საქართველოს ვაჭრები და სადაც მათგან კარგი სავაჭრო ქარვასლებიც არსებობდა. უწყებულია, რომ სტეფანე ივანეს ძეს იქ ცოლ-შვილიც ჰყოლია და რამდენიმე თანხლებულ ქართველ კათოლიკეთ ვაჭარ თან ზრდილ თანა მოსამსახურენი, რომელნიც საყოველთაოდ იქ დაშორებულიან და საქართველოში აღარ დაბრუნდებულიან.

საქართველოში მობრუნდა მხოლოდ მათ თანამყოფი ახალციხელ ქართველ კათოლიკეთ მოძღვარი ანტონ ხუცი-შვილი, რომელმაც ინდოეთში და სპარსეთში მყოფ და მცხოვრებ ქართველ ვაჭართ აღებ-მიცემის შესახებ ბევრი რამ ცნობები იცოდა. ანტონ ხუცი-შვილს ინდოეთში მოგზაურობის და ცხოვრების შესახებ ბევრი ცნობებიც ჰქონია ანუსხული, ხოლო მის ცნობებმა ჩვენს დრომდე ვერ მოაღწიეს. მას მკვიდრი და დაახლოვებული ცხოვრება ჰქონია სტეფანე ივანეს ძესთან და უეპველია ეს მღვდელივე ასრულებდა მათ წინაშე მღვდელმოქმედებას, ცხადია, რომ ამას ყველა იქ მყოფ ქართველ კათოლიკენი თვით თავიანთის ოჯახებითაც კი ქრისტიანობაზედ ექმნებოდათ მიზიდულ-დატოვებულნი. იქ მათ გვერდით იმყოფებოდენ და სცხოვრობდენ ქალდევველთა ტომის კათოლიკენიც, რომელნიც აღებ-მიცემით ირჩენდნენ თავს. ასე და ამგვარად, გრიგოლ ხურსიძის შემდეგ საქართველოს ვაჭრობის ასპარეზზედ, ანუ ინდოეთში საყოველთაოდ ქართველთა რიცხვის მოსპობის უკანასკნელს მაგალითს წარმოად-

გენს სტეფანე ზუბალაშვილი, მისი აღებ-მიცემა და ვაჭრობა. სპარსეთსა და ინდოეთში ქართველთ ვაჭართ მოსპობის უკას ნასკნელ წლებთან მჭიდროთ არის დაკავშირებული სტეფანე ზუბალაშვილის ცხოვრება. ასევე უმწეოდ და უკვალოდ ისპობა და იყარგება თვით სტეფანეს ცხოვრების ცნობებიც და მის გვერდით მყოფ რამდენსამე ქართველთ ვაჭართა ცხოვრების ხსოვნაც.

IV.

ქართველ კათოლიკეთ მღვდელი ანტონ ხუციშვილი ინდოეთში.

ქართველთ კათოლიკ ვაჭრებთ მგზავრობა ძველად სპარსეთს და ინდოეთს იქამდის ხშირი იყო და უხვი, რომ XIX საუკ. დამდეგს სხვა და სხვა კათოლიკ ვაჭრებთა წახალისებით და მრევლის საჭიროებისა გამო, წასვლა გაბედა ახალ-ციხის თემის ქართველ კათოლიკეთა მოძღვარმა ანტონ ხუციშვილმა. ქართველ კათოლიკეთა მოძღვრის ყოლის იქ თვალ ხილულად საჭიროებას შეადგენდა თვით ახალციხიდამ და თფილისიდამ გასულთ ქართველ კათოლიკ მრევლთა რიცხვიც. ესეც ერთი დარგია ჩვენის წარსულის დროის ვაჭართა და მრეწველთა გონიერივის შნოსი და გამჭრიახობის.

კარად ვიცით რომ ანტონ ხუციშვილი ინდოეთში იყო, ამას თვით ანტონ მღვდელიც სწერს თავის დღიურში, რომ ინდოეთში წაველ, იქ დავრჩი რამდენსამე ხანსაო, ვინაიდგან იქ ქართველ გვარის ანუ ახალციხის კათოლიკეთ ვაჭრებიც სცხოვრებდენო. ხოლო ის კი არ სჩანს, თუ ანტონ მღვდელი როდის წავიდა იქ, რამდენს ხანს დარჩა, ან საქართველოში როდის დაბრუნდა. ვიცით, რომ იგი 1815 წ. შემდეგ უკვე საქართველოშია და 1820 წ. ქართულს ენაზედ ერთის წიგნის თაოგმნასაც ამთავრებს. არ ვიცით ისიც, თუ იქ ამაზე წინეთიც იყო ვინმე ქართველ გვარის მღვდელი და ან შემდეგაც იყო ვინმე, თუ მარტოდ ეს ანტონ ხუციშვილი გახლდათ, რომელიც პირველად წავიდა ინდოეთ-სპარსეთს

ქართველ გვარის კათოლიკეთ სამწყსოდ და მის დაბრუნების შემდეგ დასრულდა კიდევაც იქ წამსვლელ ქართველ მღვდელთა რიცხვი.

ჩვენის ფიქრით ეს ასე უნდა ყოფილიყოს და ეს ანტონ ხუციშვილი უკანასკნელად უნდა იყოს ინდოეთში წასული, რადგანაც ქართველ კათოლიკე ვაჭართ კვალი იქით სწორეთ 1825 წლების შემდეგიდამ შემცირდა. მოისპოვ მთლად: 1830 წლებს შემდეგ ინდოეთში ვინც კი ქართველთაგანი დაშთენ, ისინი უეჭველია იქაურს ადგილ მდებარეობის ერის სარწმუნოებრივ წესებს დაემოჩილებოდენ, ამის მაგალითია გრიგოლ ხურსიძის და სტეფანე ხუბალაშვილის ცხოვრება და მათ შვილებთა სარწმუნოებრივი მხარეებიც, რომ მათ ცოლებათ ჰყავდათ ინდოელი ქალები, ამათგან შვილებიც ჰყავანდათ, შვილებს რა სჯულო ეკავათ ის კი არ სხანს.

პრონევსკი სწერს, რომ ინდოეთში უცხო ტომის ვაჭრები მრავლად იყვნენ. იქაური ვაჭრობა სულ უცხოელებს ეჭირათო, იქიდამ თუ რამ საქონელი გაპქონდათ აქა იქ სულ უცხოელებს გაპქონდათო, სხვათა შორის კასპის ზღვით საქართველოშიაც ამ უცხოელებს მოპქონდათო, ამ უცხოელებში ჩვენ ვინ უნდა ვიგულისხმოთ თუ არ საქართველოს ქართველ კათოლიკენი და თფილისის ვაჭარ სომხები. სხვა არავინ. რადგანაც იმ დროის მუსულმანებს არამც თუ ჩვენთან საქონლის შემოტანა და დასყიდვა, არამედ ფანატიკობით ლაპარაკიც კი სძულდათ, იგრინი ჭირივით გვიყურებდენ ჩვენ.

ანტონ ხუციშვილი სპარსეთში და ინდოეთში მრავალნაირად გამოწვრთნილა — უსწავლია ინდოური ენაც კი, სპარსულიც კარგად. ამას გარდა უსწავლია ინდოური მისნობა, ჯადოქრობა და ასეთ საქმეებში ისე გაწვრთნილია, რომ იგი თურმე რაღაც ჯადობაზობით ტყავებსაც ათამა შებდა, გ. ი. ფოკუსნიკობაც სცოდნია. ეს ნაამბობია მის მნახველთაგან.

უწყებულია ისიც, რომ ინდოეთიდგან წამოსული ვაჭრები გზაში მგზავრობის დროს დიდს შიშს სცდიდნენ, რადგანაც თათრები ეცემოდენ და სუარცვავდენ. დიახ ეს მართალია

და საქართველოს ვაჭრებს უფრო არბევდენ სპარსნი და სხვა მუსულმანები, იმ ჯავრის გამოც, თუ თქვენ, ქრისტიანები რუსებს რად ჩაბარდითო. ამის გამო საქართველოს ვაჭრების გაცარცვა XIX საუკუნის შემდეგიდამ უფრო წინ წავიდა, ამ გარემოებამ მთავრობის ყურადღებაც მიიპყრო თვისკენ, მიწერ-მოწერაც გაიმართა, ვაჭართ გარემოებას არა ეშველა რა, მხოლოდ მათი მიმოსვლა კი შემცირდა, ამას ბრონევსკიც შენიშნავს *).

ბევრჯერ გვითქვამს, რომ ქართველი თავის სამშობლოს გარეშე უცხოეთში სამუდამოდ არსად რჩებაო. სადაც უნდა წავიდეს, იქ იგი სამუდამოთ არ დასახლდება და უკანასკნელ ისევ საქართველოში დაბრუნდებაო. ამის წინააღმდეგ გარემოებას ჩვენ ვხედავთ გრიგოლ ხურსიძესა და სტეფანე ზუბალაშვილის ცხოვრებაში. ამას თავისებური გასამართლებელი ხასიათი აქვს და ამის ახსნას აქვე მოვიყვანთ: გრიგოლ ისარლოვი ანუ ხურსიძე საქართველოდამ ისეთის გარემოებით წავიდა რომ მისი საქართველოში დაბრუნება ვეღარ მოხდებოდა, რადგანაც გიორგი მეფის ბრძანებით იგი ძალა! იქმნა დანიშნული ნებიერიძის ქალზედ, გარდა ამის მეფე გიორგის მას სხვა შიშიც ჰქონდა და ყველა ამაებს გარეშე ის გარემოებაც უნდა მივიღოთ სახეში, რომ იგი იქ დიდს ალებ-მიცემაში ჩაება, კარ საქმეები დაიკავა და კაი შეძლებაც, გარდა ამის იქაური ქალიც შეირთა.

სტეფანე ზუბალაშვილს საქართველოში სავაჭრო საქმეები ვერ წაუვიდა კარგად, რამდენჯერაც კი იყო ინდოეთს და სპარსეთს, რამდენჯერაც მან საქართველოში საქონელი შემოიტანა, იმდენჯერვე იზარალა. უკანასკნელ გადაწყვიტა სადმე ფეხის გამაგრება და საქმეების მომართვა. ამასაც ინდოეთში მოემარჯვა სავაჭირო საქმე: ინდოელებთ შორის მარჯვე პირნი და გამოცდილნი ყოველთვის იპოვნიდნენ სახსარს და გზას საქმიანობისას, ვაჭრობისას და წარმატებისას, ხსეც მოხდა და

*) ბრონევსკი „კავკასიის ტომთა და თემთა აღწერა“ პეტ. 1824.

სტეფანე ინდოეთში იქმნა წარმატებით მოსილი, მასთანვე ცხოვრებაშიაც ჩამოატარდა, იგიც მიტომ დაემორჩილა ბეღსა და გარემოებას და იქ დარჩა საყოველთაოდ სავაჭროდ.

ჩვენ აქ თუმც ეს ორი პირი დავასახელედ, მაგრამ არ შეიძლება, რომ ამათ გარდა იქ სხვებიც არ ყოფილიყვნენ, რომ იყვნენ ამას კი ეჭვი არ უნდა, ახალციხელთ კათოლიკეთა გარდა ერივნენ თფილისის მოქალაქენიც, რომელთაც ინდოეთიდგან საქართველოში სხვა და სხვა საქონელი შემოჰქონდათ. ასეთ ვაჭრებთა ამბები თფილისში 1850 წლამდე მრავლად იცოდნენ. დღეს კი ეს ჩვენში იშვიათია. ბრონევსკის ცნობების თანხმად ინდოეთში მყოფ უცხო აზიელ ქრისტიან ვაჭრები შესახებ ჩვენ ვიტყვით შემდეგიც: ინდოეთში საქართველოს და სხვა აზიის ქვეყნების ქრისტიან ვაჭრებს მრავლად აქვნდათ სამღებროები, ტყავის, ქარხნები, სამთლის, საპნის, რაც ინდოეთიდგან სხვა ქვეყნებშიაც გაპქონდათ. პქონდათ აბრაშუმის მაღაზიები, ბამბის, მატყლის, ძაფეულობის და ვინ იცის რამდენი კიდევ სხვა ნივთების, ყველა ეს ნივთიერების კეთება და შეძენა ინდოეთში მათ იაფად უჯდებოდათ, რადგანაც იქ მაშინ ყოველივე ასეთ ნივთების მასალა იაფი იყო და მასთანვე მუშა ხელიც მუქთი. ამით სარგებლობდენ მრავალნი, ინდოეთიდამ ზემო, ხსენებული საქონელი გაპქონდათ ავლისტანს, ბუხარს, სპარსეთს, ქალდეა-ნინევიას, არმენიას და საქართველოშიაც შემოჰქონდათ.

XIX საუკუნის 1830 წლებიდამ, ინდოეთის ქრისტიან ვაჭრები მხოლოდ ინდოეთისავე ახლო-მახლო ქვეყნებში მიეცნენ ვაჭრობას და აღებ-მიცემას, მათი ვაჭრობა იქ დატრიალდა, იქ მიეცა წარმატებას, მათი ცხოვრებაც იქ შეიზღუდა, საყოველთაო ინდოელების გვერდით მოთავსდა და იქვე აღსრულა ყოველივე მათის რიცხვის და არსებობის ხსნოვნისა.

V.

მეთვრამეტე საუკუნეში, თფილისში, მოქალაქეთა შორის მრავალნი იყვნენ განთქმულნი და ქებულნი ვაჭრობით. იყვ-

ნენ მეფე ვახტანგის და ერეკლეს ოჯახთან დიდათ დაახლოვენ ბულნი ვაჭარნი:

ფიბუშვილები—მდიდარნი დიდათ და მავალნი სპარსეთს, ოსმალეთს, ინდოეთს და სხვაგანაც. სარწმუნოებით კათოლიკენი იყვნენ. აქვნდათ მაღაზიები ფართლის, ძაფის და შალის. სადღეისოდ ეს გვარი ამოწყდა საქართველოში.

ნარუშვილები—მდიდარი ვაჭრები და ქებულნი, მავალნი სპარსეთს, ინდოეთს და ოსმალეთს. სადღეისოდ აღარ არის ეს გვარიც. იყვნენ სარწმუნოებით კათოლიკენი.

ტერშმოვანი—ძველნი ვაჭარნი და მდიდარნი, ცნობილნი მეფე ერეკლეს წინაშე. ერთ ამათგანმა დახატა თფილისის გეგმაც მეფის თხოვნით. (პ. იოსელიანის „მეფე გიორგის ცხოვრება“). ტერშმოვანი კათოლიკენი იყვნენ. ნახეთ თუ. კათოლიკეთ ეკკლესის „კონდაკი“.

ბასტაშიშვილები. ძველნი ვაჭარნი და ქებულნი აღებ-მიცემით. მოქალაქენი და მერე გააზნაურიშვილებულნი. ერთი ამათგანი იყო ბენია, მეორე ექიმი, წამლები ინდოეთიდგანაც მოჰქონდათ. კათოლიკენიც იყვნენ. ნახეთ ამაზედ თფილისის კათოლიკეთ „კონდაკი“.

უაითმაზაშვილები. ძველნი მოქალაქენი და მდიდარი ვაჭრები თფილისს, მავალნი სპარსეთს, ინდოეთს და ოსმალეთს.

ტერსავაშვილები. მდიდარი ვაჭარნი და მავალნი სპარსეთს და ინდოეთს. კათოლიკის სარწმუნოების გარდა გრიგორიანებიც იყვნენ.

ხოჯიმინასოვი. მოქალაქენი, მერე გათავადებულნი მეფე ერეკლეს ბრძანებით, მდიდარნი ვაჭარნი და რუსეთის ქალაქებშიაც მოვაჭრენი, აღმოსავლეთის ქვეყნებშიაც მავალნი და მოვაჭრენი.

შადინაშვილებია ძველნი ვაჭარნა და შეძლებულნი, 1780 წელს რუსეთის ეკატერინეს იარმუკობაზედ მავალნი და დიდი ძალი საქონლის გამტან-შემომტანნი, ზოგნი ამათგანი კათოლიკენიც იყვნენ, დღეს აღარავინ არის, გარდა გრიგორიანებისა.

ბაბანაშვილები (ბაბანასფერი). ძველნი მოქალაქენი და მდიდარნი ვაჭრობით. გლახა ბაბანაშვილი იყო მეფისაგან დადგენილ მათხოვრებზედ წყალობის დამრიგებელი. ერთს ძველს მდიდარ მოქალაქეს და მერე დაცემულს მეფისაგან ბოძებულ წყალობა 10 თუმნის მაგიერ 10 შაური გასცა, ეს ამბავი მეფემ შეუტყო, დასტუქსა ძრიელ მეფის მოტყუებისათვის და აღარ ენდობოდა წყალობის გაღებას. მის შემდეგ ეს თანამდებობა სულ ჩამოერთვა ქალაქის ხალხის წინაშე მეფის ბრძანებით, ვინაიდგან მოტყუების დიდი რიცი აქვნდათ თფილისელ ღარიბ-ღატაკებს.

მირიმანანი. ძველნი ვაჭარნი და ჩენილნი. ზოგნი კათოლიკობას ძველადვე დაკავშირებულნი, 1755 წ. სომხობაზედ გადვიდენ. კათოლიკენი აღარავინ არის დღეს.

უუზანაანი. ძველნი ვაჭარნი მდიდარნი და მავალნი სპარსეთს და ინდოეთს ვაჭრობისთვის. ამათ გვარს სპარსეთიდგან წერილს სწერდა თვით ალექსანდრე ბატონიშვილიც.

სურგუნაანი (სურგუნოვი). მოქალაქენი და მავალნი ვაჭრობით სპარსეთს და ინდოეთს. ამათ წერილს სწერდა მეფე გიორგი და ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთიდგან.

მიკირტუმაშვილები. მდიდარი ვაჭარნი და მავალნი სპარსეთს, ოსმალეთს და ინდოეთს. იყვნენ მეფის წინაშე ცნობილნი.

სარაჯიშვილები. მავალნი სპარსეთს და ოსმალეთს. ძველადგანვე სარაჯობით განთქმულნი. ქებულნი და ცნობილნი კაის ვაჭრობით ჩვენის სამეფოს სახლის წინაშე.

წურინაანი, ძველნი ვაჭარნი, მდიდარნი და მავალნი აღმოსავლეთის ქვეყნებში ძველადგანვე.

ზუბალაშვილები მერაბი, გიორგი, ივანე, ანდრია და სხვანი, ქებულნი და მავალნი ვაჭრობით ოსმალეთს, სპარსეთს და საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებს.

სურსიძეები, გამოჩენილი აზნაურის შვილები სამკებიდამ. ლუკა სპარსეთს გაგზავნილი მეფე ერეკლესაგან, იქვე გარდა-

იცვალა. შემდეგ ამის შვილი წავიდა ინდოეთს გრიგოლი და იქვე გარდაიცვალა.

ფინთუაშვილები, დღეს ფითოევი. ძველადგანვე გამოჩენილი ვაჭრები და მდიდარნი, მავალნი სპარსეთსა და ინდოეთს მეფე ერეკლესაგან ერთი ამათგანი დატუქსვილი და ფინთოლ წოდებული, რაის გამო მათ გვარათაც ფინთუაშვილი ეწოდათ, დღეს ფითოევი.

ქიშმიშანი. ძველნი მოქალაქენი თფილისისა და ალებ-მიცემით განთქმულნი.

ხალათაშვილები. ძველნი მოქალაქენი და შერე ერთი ამათგანი გააზნაურებული მეუისაგან. იყვნენ მდიდარნი ვაჭარნი და მავალნი რუსეთშიაც ვაჭრობისთვის. ერთი ამათგანი იყო გამგე ბატონიშვილების მამულების, რომელნიც 1802 წლის შემდეგ რუსეთს გადასახლეს. ერთ ამათგანმა მეფის ძეთ მისტაცია მამულები და მით გამდიდრდენ უფრო დიდად. დღეს ხალათოვები. გარდახვეწილი ბატონიშვილების ქონება სულ ამ ხალათოვებს დაშთათ. (ნამბობი იარალის ძის ივანე შან-შეშვილისაგან).

ხატისაანი. ძველნი მოქალაქენი და მავალნი ალმოსავლეთის ყველა ქვეყნებში ვაჭრობისთვის. ესენი ზოგნი კათოლიკენი არიან, ზოგნი გრიგორიანები და ზოგნიც მართლმადიდებელნი.

ამბარდაანი. ძველნი ვაჭარნი და მავალნი ალმოსავლეთის ქვეყნებში ერთი ამათგანი რუსეთს გადასახლდა ვაჭრობისათვის. იყვნენ მეფის წინაშე ცნობილნი და ქებულნი.

ენაკოლოფოვი. ცნობილნი მეფის წინაშე როგორც ბრძენდა კარგად მოუბარნი. მიტომ ეწოდათ „ენა-კოლოფოვი“, ძველნი ვაჭარნი და მეფისგან გააზნაურებულნი.

აღმალაშვილები. ძველნი ვაჭარნი და მეფეთა წინაშე ცნობილნი.

აბიმელიქიშვილები. ძველნი ვაჭარნი, რუსეთში მავალნი და მეფის წინ ცნობილნი. შემდეგ გათავადებულნი მეფეთაგან. სომეხნის დღეს აბა-მელიქოვი.

ამატუნი. სპარსეთილგან მოსული ექიმ ვაჭარი, მეფისაგან გათავადებულნი. სომეხნი არიან დღეს.

გურგენბეგოვი, ძველნი ვაჭარნა და გამოჩენილნი მეფეთა წინაშე. გურგენბეგოვები დღეს ახალციხეში სცხოვრობენ.

შერგილაშვილები. მდიდარნი ვაჭარნი ძველადგანვე და მავალნი სპარსეთსა და ოსმალეთს. ძველნი მოქალაქენი. და მრავალიც სხვანი.

მეფის ერეკლეს წინაშე გამოჩენილ მოქალაქეთა რიცხვი შესდგებოდა 300 კაცისაგან. ამათვან რუსეთის მთავრობამ იკრის პარტნიორი გრაფედანინათ მხოლოდ 50 კაცამდე. მერე 80 კაცამდე ავიდა, ანუ ოჯარამდე. უნდა ითქვას. რომ ამ პირთა შორის იყვნენ ისეთი მდიდარი ვაჭრებიც, რომელთაც თფილისში ქარვასლებიც აქვნდათ. XVIII საუკუნის ბოლოს თფილისში იყო 30 მდე ქარვასლა. ერთი სიონისა, მეორე ბატონი შვილისა, დღეს ანანოვისა. მესამე თფილისის მიტროზოლისა, საღაც თვითაც იდგა, სიონის გვერდით და დანარჩენი იყო სხვებისა. იმ ღროის ქარვასლების დღემდე ბევრია დაშთენილი თავის ძველის ნაშენის კედლებით და სარდაფებით. ბევრი კი განახლდა. სამწუხაროდ ძველის ღროის კარგ სახლთაგანი იყო მუნიციპალიტეტისა, რომელიც იწოდებოდა „მუნიციპალიტეტისათ“ და ამ ბოლოს ღროს ესეც მოისპო.

დასართავია. აქ ის გარემოებაც, რომ XVIII საუკუნეში, თფილისში, ვაჭრებთ შორის დიდი რიცხვი იყო ქართველ ებრაელთაც, ამათი რიცხვი 1795 წლამდე 500 კომლამდის იყო, აქვნადთ საკუთარი თორა, ქარვასლა და ვაჭრობაც ეკავათ თვალსაჩინოდ და მათ მისევლა-მოსვლა აქვნდათ გამართული ევროპას, სპარსეთს, ინდოეთს, ოსმალეთს, იერუსალიმს, დალისტანს, ქალდეას და რუსეთშიც კი. VXIII საუკ. დამლევამდე მათი რიცხვიც ხშირად და მრავლადაც გამგზავრებულა სპარსეთს და ინდოეთს, საიდგანაც მათ მრავლად შემოჰქმდათ სხვა და სხვა ნივთეულობა და ჩითეულობა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამათ ვაჭრობა საქართველოს ყველა სოფლებს და დაბებშიც ქონდათ გამართელი, ამისთვის მგზა-

ვრობაც იცოდნენ. ურიებით მოფენილი იყო მთელი ქართლი და კახეთი, მათ კარგად იცოდნენ სპარსეთის, ოსმალეთის და ინდოეთის ვაჭრობის აღებ-მიცემის მაზანდა და გზაკვალიც.

საქართველოს ებრაელთ დიდი მისვლა-მოსვლა აქვნდათ ფარსისტანის ურიებთან, მათში ნათესავობაც კი იყო გამართული და მათის წყალობით ზემოხსენებულ კუთხეებში და ინდოეთს ხოროსნის მხრით ვაჭრობაც აქვნდათ განცხოვლებული. ზემოდ მოხსენებულ გვარებში ზოგნი ქართველ გვარის კათოლიკენი არიან და გრიგორიანებიც თითქოს ქართველთ რიცხვი არა საჩანს. დიახ მოწინავე მოქალაქეთ შორის ქართველთ რიცხვი დიდი არ იყო, მიტომ მათ ნაცვლად იყვნენ წვრილი ხელოსნები და ვაჭრები ქართველთ გვარისანი, თფილისის უმეტესი ნაწილი ამათგან შესდგებოდა.

არ დასავიწყებელია ის გარემოებაც, რომ XVIII საუკუნის შემდეგიდამ, თფილისში იყო ისეთი სავაჭროებიც, სადაც მაგარ ქვის სათლელად და სატეხად ინგლისურ იარაღსაც ჰყიდდენ, ასეთი იარაღი ბერძნებსაც შემოჰკონდათ ინდოეთის მხრიდამ, იარაღს გარდა სხვაც ბევრი უცხო საქონელი იყიდებოდა. ინგლისური შაქარიც ინდოეთიდგან შემოჰკონდათ საქართველოში. ამას ხომ უარს ვერავინა ჰყოფს და თვით სიტყვა შაქარიც კი ხომ ინდოური სიტყვა არის.

ჩვენი წერილის ჰაზრი ის გახლდათ, რომ ცოტად დაგვესაბუთებინა, რომ საქართველოს ვაჭრებს აღებ-მიცემის მხრით მისვლა მოსვლა აღმოსავლეთის ერთან და თვით ინგლისსა და ინდოეთთან ძველადგანვე აქვნდათ და რომ ქართველნი მაინცა და მაინცა არ იყვნენ ისე დამონავებულნი, როგორც ეს ზოგი ერთებს ჰგონიათ, ქართველ ერს ვაჭრობის ასპარეზედ არ ეძინათ, იგინი მხნედ იყვნენ გაღვიძებულნი და მოქმედებდნენ ფხიზლად.

უნდა ვთქვათ, რომ მეორე ხარისხის ვაჭრები სიმდიდრით პირველ ხარისხის მოქალაქეებს არაფრით ჩამოუვარდებოდნენ, ესენი არიან: ზარაფოვი, ძველი ვაჭართა გვარი. შემდეგ გამდიდრებულ და ქარვასლების პატრონი, იესაანი, ყაზმინანი,

ჩარახჩიანი, იზმიროვი, კობახიძე, ჯიმშერიშვილი, ნალბან-
დიშვილი, თორმანაშვილი, ანტონოვი, მაისურაძე, ხანუმა-
შვილი, ჩითახაძე, გორელიშვილი, ამირალაშვილი და მრავა-
ლიც სხვანი. ყველას ვერ მოვსთვლით აქ, რაღანაც მათი
რიცხვი ერთობ დიდია — ათასობით შეიძლება მოითვალოს.
უმეტესი ნაწილი ქართველნი არიან და მხნე ვაჭრები და
ხშირად მავალნი როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებში, ისე-
ვე უშორეს თვით ინდოეთშიაც, აქ ჩვენ არ ვასახელებთ გო-
რის, თელავის, სილნარის და სხვათა კუთხის მცხოვრებ ქა-
რთველ ვაჭართ ხსენების, რომელთა რიცხვიც ერთობ დიდა-
იყო.

XVIII საუკუნის ნახევრიდამ ჩვენ ვიცით კარგად, რომ
თფილისში სცხოვრობდენ ევროპიელთაგანი იტალიელნი მრა-
ვლად, ასევე ფრანცუზნი, პოლონელნი თვით დოსტაჭრებიც
ვი იყვნენ და ექიმნი. მრავლად სცხოვრობდნენ მესაათენი,
როგორც ევროპიელი გოტფლიდი, მეფე ერეკლეს კარზედ-
ცნობილნი, იყვნენ სხვა და სხვა ნიკა ჩამომსხმელნი და მრა-
ვალიც სხვანი ინდოეთიდგან და სპარსეთიდგან შემოსულნი-
ევროპის კათოლიკეთა კავკასიის შუა გულს საბინადრო ცენ-
ტრს თფილისი შეადგენდა. აქედამ ესენი მიემართებოდენ
სპარსეთს, საღაც არსებობდა მათი სამქადაგებლო მისია, ნა-
მეტურ შირაზს, ინდოეთის სამზღვარზედ, თვით ინდოეთს. და
ჩინეთშიაც კი. საქართველოდამ მრავლად მიღიალდნენ ეს მო-
ძღვარნი ამ ქვეყნებში სამქადაგებლოდ, მათ ხშირად თან მიჰ-
ყვანდათ ქართველ კათოლიკეთა ბავშვებიც სამსახურად და
სამგზავროდ, რაის საშუალებითაც ქართველნი და ნამეტურ
კათოლიკელნი ადვილად უახლოვდებოდენ ინდოეთსა.

სულ ეს გარემოება და პირობები უნდა ჩაითვალოს მის
უმთავრეს მიზეზებათ, რომ ქართველ კათოლიკენი ახალციხის-
გზით ინდოეთს და ევროპას პატარების მეოხებით აღრიდგანვე
დაუახლოვდენ.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში, ინ-
დოეთს, სპარსეთს და ევროპას, თფილისის ახალციხის და გო-

რის ვაჭრებს გარდა ქუთაისის ქართველ კათოლიკ ვაჭრებიც მრავლად მგზავრობდენ. ცნობები არის დარჩენილი რომ ქუთაისის ვაჭრებთაგანი ბაინდურაშვილები (აზნაურნი შემდეგ) აკოტაშვილები, ყაუხეჩოვები, თუმანაშვილები, დათიაშვილები და მრავალნიც სხვანი ხშირად მგზავრობდენ და ვაჭრობდენ აღმოსავლეთის უშორეს და ევროპის ქვეყნებში, ამათ აქ ჩვენ არ ვასახელებთ, რადგანაც ამაზედ სხვაგან გვაქვს დაწერილ დაბეჭდილი. აქ მარტოდ ჩვენის წიგნის საგნად გახდა მეფე ერეკლესაგან დაწერილი მიწერ-მოწერა ინდოეთში. რ. დანი-ბეგოვი, გრ. ხურსიძე, სტეფანს ჩუბალაშვილი და მათ თანა-მედროვენი ინდოეთსა და სპარსეთში მყოფ და მოვაჭრე ქართ-ველნი.

კვალად მოგახსენებთ: ნურავის ეუცხოვება ჩვენი საუ-ბარი იმ გარემოების შესახებ, რომ საქართველოს ვაჭრების და მათს ინდოეთში და ჩინეთში მოგაზაურობის და ვაჭრო-ბის გამო ასე თამამად ვსაუბრობთ. აქ საეჭვო არა უნდა იყოს რა, თუკი შემდეგ გარემოებას დავაკვირდებით. ჩვენ ვი-ყავით ხალხი, გვევანდა მეფენი და მოწინავე პირნი, გვქონ-და ქალაქები და დაბები, გვაქვნდა ვაჭრობა და ქარხნები. მოთხოვნილება გვაქვნდა ყველაფრის, ვიცნობდით აღმოსავ-ლეთის ერთა ვაჭრობას. ისე როგორ მოხდებოდა, რომ ჩეე-ნი ვაჭრები სულ შინ მსხდარიყვნენ, არსად ფეხი არ გადაედ-გათ, ან არ გაეტანათ რამ საქონელი გასასყიდათ და ან არ შაბოერიანათ. დიახ, ჩვენი ვაჭრები მგზავრობდენ ვაჭრობი-სათვის სპარსეთს, ინდოეთს და სხვაგანაც.

სათქმელია ისიც, რომ საქართველოს ვაჭრებს გარდა უშორეს ქვეყნებში სამქადაგებლოდ მიღიოდნენ ქართველთ მამანიც. ასეთია მაგალითებრ დიმიტრი ქართველ მქადაგებ-ლის ცხოვრება, რომელიც ბომბეის უწამებიათ და რომლის წმშებასაც XV საუკუნის ნახევარს, ლათინის მოგზაურ მი-სიონერებიც მოგვითხრობენ როგორც თავიანთ თვალთ ნა-ხულს. ასეთს ცნობებს ბევრს მოვიყვანთ, მაგრამ ესეც კმარა საშუალ საუკუნოების გამო.

სპარსეთსა და ინდოეთს სცხოვრებდა და დიდი აღებ მი-
ცემა აქვნდა გრ. ხურსიძეს.

აქვე, ანუ ინდოეთში სცხოვრობდა სტეფანე ივანეს ძე
ზუბალაშვილი და განაგებდა თავის სავაჭრო საქმეებს — 1845
წლამდე.

ინდოეთშივე იყვნენ საქართველოს სხვა-და-სხვა გვარის
ვაჭრებიც, რაზედაც ზემოთ მოვახსენეთ.

იყო აგრეთვე ქართველ კათოლიკეთ მოძღვარი ანტონ
ხუციშვილი.

იყვნენ აგრეთვე სპარსეთსა და ინდოეთს მრავალნიც სხვა
ვაჭრები ქართველთა, რომელთაც, მრავლად გაჰქინდათ და
შემოჰქონდათ სხვა-და-სხვა საქონელი. მარტოდ 1780 წ. ო.
იზმიროვის მამამ და მისმა ამხანაგებმა გაიტანეს რამდენიმე
ათასი თუმნის მატყლი და იქიდამაც დიდი ძალი საქონელი
შემოიტანეს. (ნამბობი მ. ო. იზმიროვისა). ვგონებთ ეს ცნო-
ბებიც კმარა რომ ჩვენს საუბარზედ ეჭვი არავინ იქონიოს-
ქართველთ ვაჭართ უცხო ქვეყნებში მგზაურობის აუცილებ-
ლად თხოულობდა თვით მათივე სიმრავლე თფილისში და ვა-
ჭრობის მრავლ ნაირი მაღაზიების წარმოება. მათი რიცხვი
ერთობ დიდი იყო. ასეთ ცნობათა მასალები მრავლიად მოი-
პოვება ეჩიაძინის არქივში, საიდამაც ხშირად სარგებლობს
მდ. ტერ გურია თავის „მდოვანი სომხეთის ისტორისათვის“.

ინდოეთი და სხვა ასეთ ქვეყნები და თვით ინგლისიც
ქართველებისთვის უცხო არ უნდა ყოფილიყოს, ამას ამტკი-
ცებს შემდეგი გარემოებაც: XVII საუკუნე, ნახევარს, გორში,
პატარების ერთ ყმათაგანი ნასყიდა კათოლიკის სარწმუნოებას
დაუკავშირდა, მერე მონოზნათაც შეიმოსა, შემდეგ დროს
ამან მიიღო შესატერი სწავლა-განათლება და რომშიაც იყო.
ნასყიდას ბერიბაში ანდირია უწოდეს. ანდრია დიდს სახარს
აძლევდა იმ კათოლიკეთ მისიონერთა მისიას რომელნიც სამე-
გრელოს და გურიაში კათოლიკის სარწმუნოებას ავრცელებ-
დენ, ასე გოწმობს მ. თამარაშვილი. ანდრია იტალიაში კარ-

გად გაიწურთნა, იგი პეტრე ავითაბოლის პირველი. მოწაფე იყო. პეტრე ავითა ბოლიმ შეადგინა ერთი ახალი მისია, ეს სამისიონერო ძმობა ინდოეთში უნდა წაეყვანა სამქადაგებლოდ და მალეც წაიყვანა. თანვე გაიყოლა ანდრია ქართველი პატრი და ერთიც სხვა ქართველი პატრი.

1639 წ. ესენი ჩასულან ინდოეთის ქალაქ გოას. ანდრიას თავის ამხანაგებთან შესანიშნავად დაუწყვია სამქადაგებლო შრომა და დიდი რიცხვიც შეუერთებია ქრისტიანობაზედ. არ გასულა დიდი ხანი რომ ანდრია პატრი გარდაცვლილა. ასე არა გვიან 1642 წ. იმ დროს, ინდოეოში ყოფილა ავგუსტიანელების ძმობის მისია, კარმილიტიანელების და დომინიკიანელების. ყველა ამ ძმობათა ძმებს ანდრია პატრი დიდის ღიღებით დაუსაფლავებიათ ინდოეთის გოა ქალაქს, მუზიკით, ვალობით, დიდის პატრივისცემთ. ანდრიას ამხანაგი მეორე პატრი ქართველი კი იქ დარჩენილია. აღსანიშნავია ისიც, რომ ინდოეთის კათოლიკ ყველა ძმობის წრეებში რამდენ რამდენიმე ქართველ გვარის პატრებიც იყვნენ, რომელთაც იცოდენ ინდოერი ენები და ამ ენითვე ქადაგებდენ იქ, ქართველ ტომის ვაჭრების წარმატების ნიადაგის შეამზადებს და ინდოეთში მგზავრობისათვის ამ გარემოებასაც დიდა. მნიშვნელობა უნდა მიეცეს.

ცხადათ სჩანს, რომ საშვალ საუკუნოების შემდეგ, ანუ დიმიტრი ქართველ პატრის წამებიდამ ვიდრე XVIII საუკ. მოსვლამდე, ინდოეთში არც ქართველთ ვაჭრები გამოლეულან არც ქართველ-მოძღვან მქადაგებელნი, რასაც ზემო ხსენებულ მაგალითთან ერთად მღ. ანტონ ხუციშვილის მგზავრობაც ამტკიცებს. ის უნდა ვსთქვათ, რომ ზემოდ ნახსენებ თვით ვაჭრანგ მეფის კავშირი საფრანგეთთან პირდაპირ იმას შეიცავდა, რომ საქართველოს ვაჭრები თავისუფლად დაახლოებედენ სპარსეთს და სხვა ასეთ აღმოსავლეთის ქვეყნებს. და ვაჭრობაც თავისუფლად დაეწყოთ. ამავე გარემოებით უნდა ესარგებლნათ ევროპის ვაჭრებით და ამთაც ევროპიდგან სხვა და სხვა საქონელი საქართველოს გზით. უნდა ეზიდნათ და

ეტარებინათ სპარსეთს, ინდოეთს და სხვაგანაც, რასაც საქართველოს სამეფო ყოველთვის დახმარებასაც მისცემდა გზავრობის დროს მშვიდობის დასაცველად. ამისთვის უნდა განწესებულიერნენ საგზაო მცველნი, ფოსტები და ყარაულები. კახტანგ მეფის პირობაში ამ გარემოებას დიდი აღვილი უკავია.

ეს პირობის წერილი საქართველოდან საფრანგეთში საბაორბელიანმა წაიღო. ვახტანგ მეფე კაროლს ლიუდოვიკ XIV-ს სწერს, მე მზათა ვარ რომ თქვენი დახმარების შემდეგ არამც თუ თქვენი ერთგულება და ქვეშ-მრდომობა ვალიარო, არამედ სარწმუნოებითაც შევიერთდეთ. ჩემთან ერთად შემოერთდება თვით კათალიკოზი, სხვა სამლევლონი და მათის მიბაძვით მთვლი ერიცო. ამისთვის ვგზავნით ჩვენს სარწმუნო ჰირს და გაუწყებთ ჩვენ ნატვრას. ვითხოვთ აგრეთვე იმასაც, რომ თქვენი კონსული დაგვენიშნოს თბილისში, კონსულისთვის სახლს ჩვენის ფულით გავაკეთებთ. ვახტანგ მეფის პირობიდან კარგა სჩანს, რომ მის დროის ქართველთაც კარგად უნდა სცოდნოდათ საფრანგეთის დაახლოვების მნიშვნელობა. უმთავრესათ კი ვაჭრობის დათმობის დიდი აღვილი, რაღვანაც იმ დროს თბილისის ქართველნი ვაჭრობით ბრწყინვავდენ. ერთ ალაგას მეფე ასე სწერს: — „ჩვენ ვეცდებით, რომ საფრანგეთის ვაჭრებს საქართველოდან სპარსეთსა და ინდოეთზედ საქონლის გატანა და ვაჭრობა ვაუადვილოთ, რითაც მათი ვაჭრობაც დღდათ აღორძინდება“. ეს იყო უმთავრესი პირობა ვახტანგ მეფისა და მისგან დასახელებული ვაჭრობის აღორძინება, რასაც საკმარისი მნიშვნელობა უნდა მიეცეს.



947.922
f 551

ს. ჭიჭინაძე

მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი № 30.

ვასი 15 კაპ.

იდეჭვება და მაღე გამოვა: „ვაჭრობა და მრეწველობა საქართველოში ძველი ძველი დგან“.